

ՀԱՅԿԵՆՆԵՐԻ
ՆՈՇՏԱՐԱՐՈՅՑ



№ 8 1948 Ե.

Վրեռնըհր



პ ი ო ნ ე რ ი

№ 8 აგვისტო 1948

საპარტიო-საბავშვო ცენტრალური კომიტეტის
შოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამომცემლობა
„კომუნისტი“

წელიწადი XXII

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии
(на грузинском языке)



ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრის შვილები — პიონერ-მოსწავლეები გური და ეთერა ბაღათურიები დღეში 30-40 კილოგრამ ჩაის ფოთილს ჰკრეფენ.
ფოტო რ. აკოფოვისა.



„ავრორა“

ნაკვეთი

0254

ავრორა ლათინურად განთიადს, რიყრაქს ნიშნავს.

„ავრორა“ ეწოდება ბალტიის საზღვაო ფლოტის სახელოვან კრეისერს, რომელმაც თავისი ზარბაზნების გასროლით დიდი როლი შეასრულა ზამთრის სასახლის აღებაში. ლენინგრადში ყოფნის დროს მე დავეთვალიერე კრეისერ „ავრორას“ ყოველი კუთხე, დაწყებული გემბანიდან გათავებული საციცხლფარეშო განყოფილებით; ვნახე ჯავშინანი კოშკები, რვა ზარბაზანი, ოცდაექვსი ჩქარმსროლოელი ზარბაზანი, ორი ნაღმსროლოელი აპარატი, მეზღვაურთა კაიუტები...


კრეისერის კაპიტანია საბჭოთა კავშირის გმირი ვასილ კონსტანტინეს-ძე კაზაჩინსკი. ეს, შორეულ აღმოსავლეთის წყლებში ვერაჯ იაპონელების წინააღმდეგ გმირულად ნაბრძოლი ახალგაზრდა კაცი სამამულო ომის დასრულების შემდეგ დაინიშნა კრეისერ „ავრორას“ კაპიტანად. იგი, სავსებით სამართლიანად, უდიდეს ღირსებად და დამსახურებად სთვლის თავის ახალ თანამდებობას ვასილ კაზაჩინსკიმ და კრეისერზე დარჩენილმა ერთადერთმა ძველმა ავრორელმა მეზღვაურმა — ნიკოლოზ ფილიპეს-ძე ტრუშინმა გულდასმით მიაბმეს კრეისერ „ავრორას“ ისტორია.


...„ავრორას“ მშენებლობა 1897 წელს დაიწყო პეტერბურგის სამხედრო-სააღმძირალოს ქარხანაში. იგი 1900 წელს ჩაუშვეს წყალში, 1903 წელს მასზე ააფრიალეს სამხედრო დროშა. იმავე წელს „ავრორა“ შორეულ აღმოსავლეთის ფლოტილიაში ჩარიცხეს და პორტ-არტურში გაგზავნეს. რუსეთ-იაპონიის ომმა მას წითელ ზღვაში მოუსწრო. მეფის მთავრობის ბრძანებით კრეისერი კრონშტადტში დააბრუნეს და აქვე ჩარიცხეს წყნარი ოკეანის მეორე ესკადრის შემადგენლობაში, რომელიც უკვე მზად იყო ვლადივოსტოკში წასასვლელად. „ავრორამ“ აფრიკის ნაპირებს შემოუარა, და-

ნიშნულ ადგილზე მივიდა და მონაწილეობა მიიღო იაპონიის წინააღმდეგ ცუსიმას ცნობილ საზღვაო ბრძოლაში, რომელიც მეფის რუსეთის ესკადრის სრული განადგურებით დასრულდა. ამ ბრძოლაში „ავრორაც“ დაზიანდა, მან ფილიპინების არქიპელაგზე — ქალაქ მანილას შეაფარა თავი. აქ ის განაპარაღეს. შეკითხვის შემდეგ 1906 წლის თებერვალს დაბრუნდა რუსეთში. 1907-14 წლების განმავლობაში „ავრორა“ გამუდმებით მონაწილეობდა შორეულ რეისებში. პირველი იმპერიალისტური ომის დროს „ავრორა“ მონაწილეობდა ბალტიის ფლოტის საბრძოლო ოპერაციებში.

1917 წელს, თებერვლის რევოლუციის დღეებში, „ავრორა“ კრონშტადტთან იდგა. მთელ პეტროგრადს რევოლუციური პროლეტარიატის მღელვარება მოედო. არც კრეისერზე სუფევდა სიმშვიდე.

კრეისერის მეთაურს — ნიკოლსკის, რომელიც იმავე დროს პეტროგრადის ერთ-ერთი რაიონის დამსჯელი რაზმის უფროსი იყო, სამი პატიმარი მოუყვანეს. ამ პატიმრებს გემთან საერთო არაფერი ჰქონდათ. ამან მეზღვაურებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ნიკოლსკიმ კექსპოლმსის პოლკის ჯარისკაცები გამოიწვია და მათ გადასცა პატიმრები ციხე-სიმაგრეში მოსათავსებლად. მეზღვაურები „გაშას“ ძახილით უკან დაედევნენ პატიმრებს. ამით გაბრაზებულმა მეთაურმა და მისმა თანაშემწემ მეზღვაურებს სროლა აუტეხეს. ერთი მეზღვაური მოკლეს, რამდენიმე დასჭრეს. ამის შემდეგ ნიკოლსკი მკაცრად დაემუქრა მეზღვაურებს. აღელვებულმა მეზღვაურებმა გადასწყვიტეს, საღამოს, ლოცვის დროს, სინათლე ჩაეჭრათ და ოფიცრებზე შური ეძიათ. მაგრამ ერთმა გაიძვერა — გვარად სეროვმა, გასცა შეთქმულნი. ლოცვის დროს რევოლუციებით შეიარაღებული ოფიცრები მეზღვაურებს უკან ამოუდგნენ. თუ მეზღვაურების მხრით რაიმე მოქმედება შეამჩნევდნენ, ოფიცრები მზად იყვნენ სროლა აეტე-





ხათ მათთვის. შეთქმულება ჩაიშალა. 27 თებერვალს კრეისერთან მოვიდნენ მუშები, რომლებსაც გაეგოთ მომხდარი ამბავი. ამის გამო პროტესტი განაცხადეს და მოითხოვეს მეზღვაურთა მკვლელების დასჯა, მაგრამ მათ ამაყად და კადნიერად ეჭირათ თავი, მუშებთან ლაპარაკიც კი არ მოისურვეს. მუშები აღელდნენ და შეიარაღებულ მეზღვაურებს შეუერთდნენ. მეზღვაურმა ბარამინმა თავი ვერ შეიკავა, გემის მეთაური მოჰკლა, მისი თანაშემწე კი სხვებმა ხიშტებზე წამოაგეს. ამის შემდეგ მეზღვაურები და მუშები ერთ დროშის ქვეშ დაირაზმნენ და სიმღერით გაემართნენ საერთო სახალხო დემონსტრაციასზე...

მეფე ჩამოაგდეს...
კრეისერზე ჩამოყალიბდა რევოლუციური კომიტეტი. მას ხელმძღვანელობდნენ მეზღვაურები: ბოლიშევი, კურკოვი და ზლატოგორსკი. კომიტეტის პირველი ამოცანა იყო განეგრძოთ უკვე დაწყებული გემის შეკეთება, მაგრამ მომხდარი ამბების გამო ამჯობინეს რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა. იმ დღეებში გემის კანცელარიის კარზე გაჩნდა უჩვეულო განცხადება, რომელიც იუწყებოდა: მსურველებს შეუძლიათ ჩაეწირონ ბოლშევიკურ ორგანიზაციას. მეზღვაურები: კურკოვი, ზლატოგორსკი, ლიპატოვი, დუკიჩიევი და კრეისერის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ბოლიშევი იყვნენ პირველი ბოლშევიკები „ავრორაზე“.

ივლისის დემონსტრაციასზე ავრორელები გამოვიდნენ ბოლშევიკური ლოზუნგებით: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ „პური და ზავი!“. „ძირს ათი კაპიტალისტი მინისტრი!“.

კურკოვი და ზლატოგორსკი დემონსტრაციასზე დააპატიმრეს... აღელვებულმა ავრორელებმა მოითხოვეს დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქზე სროლით იმუქრებოდნენ. დროებითი მთავრობის წარმომადგენლებმა კურკოვი და ზლატოგორსკი გაათავისუფლეს.

ამ დღიდან ავრორელები არ ემორჩილებოდნენ დროებით მთავრობას. ყველა ბრძანება სრულდებოდა მხოლოდ კრეისერის კომიტეტსა და „ცენტრობალტთან“ შეთანხმებით. დროებითი მთავრობა უნდობლად უყურებდა „ავრორას“ და უნდოდა თავიდან მოეშორებინა იგი. ამ მიზნით მისცეს მას ბრძანება: დაუყოვნებლივ უნდა წასულიყო ჰელსინგფორსში, მაგრამ ეს ბრძანება უარყოფილ იქნა „ცენტრობალტის“ განკარგულებით. „ავრორა“ ადგილზე დარჩა. 1917 წლის 24 ოქტომბერს კრეისერმა პეტროგრად-

დის რევკომისაგან (რევოლუციური კომიტეტი) მიიღო ბრძანება, რამაც განსაზღვრა „ავრორას“ როლი ოქტომბრის რევოლუციის რევკომი მოითხოვდა: ყველა სამუალებით კრეისერს ისევ შეერთებინა მდინარე ნევაზე ნიკოლოზის სახელობის გახსნილი ხიდი და გემი სრულს საბრძოლო მდგომარეობაში მოეყვანათ. ავრორელები მზად იყვნენ ამ ბრძანების შესრულებისათვის, მაგრამ კრეისერის ახალმა მეთაურმა ნიკოლოზის ხიდისკენ წასვლაზე უარი განაცხადა. მეთაური უმაღვე დააპატიმრეს. უფროსმა მესიგნალებმა შეამოწმა ნევას სიღრმე და კრეისერი მიუახლოვდა ნიკოლოზის ხიდს. დროებითი მთავრობის განკარგულებით გახსნილი ხიდი კვლავ შეაერთეს, რამაც სამუალება მისცა ვასილევსკის კუნძულის რევოლუციურ რაზმელებს გადასულიყვნენ ქალაქის ცენტრში ზამთრის სასახლეში ჩასაფრებული იუნკრები თუ იარაღს არ დაჰყრიდნენ, კრეისერს, პეტრე-პავლეს სიმაგრედან მიცემული სიგნალის შემდეგ, პირდაპირ უნდა დაეშინა ზარბაზნები სასახლისათვის.

სასახლის მოედანზე შამხანებისა და ტყვიამფრქვევების ძლიერი სროლა გაისმოდა. კრონშტადტიდან იქ გაემუშრენ მეზღვაურთა დამხმარე რაზმები. და ბოლოს პეტრე-პავლეს სიმაგრემ „ავრორას“ მისცა ნიშანი. „ავრორა“ უმაღვე მიეწევა პეტროგრადის რევოლუციურ პროლეტარიატს ზამთრის სასახლის აღებაში.

რუსეთის ბურჟუაზიული მთავრობა დაემხო! მაგრამ კონტრრევოლუციურ ძალთა ნარჩენები მაინც არ სცხრებოდნენ. 1919 წელს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ იერიშები მოჰქონდათ ხმელეთითა და ზღვით. იუდენიჩი ინგლისის ესკადრით ემუქრებოდა პეტროგრადს, მაგრამ იგი უკუქცეულ იქნა. 1920 წელს „ავრორა“ დაცარიელებული იდგა კრონშტადტის სამხედრო ნავსადგურში, რადგან ავრორელი მეზღვაურები უკლებლად სამოქალაქო ომის ფრონტებზე გმირულად ებრძოდნენ კონტრრევოლუციას. 1923 წლის ზაფხულის კამპანიის დროს „ავრორა“ კვლავ ჩადგა ბალტიის ზღვის სამხედრო გემების მწყობრში. 1924 წელს სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო შეფობა „ავრორაზე“. ეს უდიდესი მოვლენა იყო კრეისერის მთელს ცხოვრებაში.

1926-27 წლებში „ავრორამ“ მოაწყო ორი შორმანძილზე ცურვა. 1928 წელს შეპოიარა მთელი ბალტიის ზღვა, იყო ნორვეგიასა და დანიასში, მას ყველგან ალტაცებით ხვდებოდნენ მუშები და მეზღვაურები, რევოლუციურად განწყობილი ხალხი.



მას შემდეგ „ავრორა“ ლენინგრადის ნავსადგურში იდგა. ეს საბჭოთა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი კრეისერი თავისი ზარბაზნებით გადასცქეროდა მშვიდობიან ლენინგრადსა და ბალტიის ყურეს.

სამამულო ომის წლებში გერმანელ ფაშისტ-დამპყრობლებმა ბევრჯერ მოაწყეს „ავრორაზე“ თავდასხმა, მაგრამ ამაოდ. იგი უვნებლად გადაარჩა. „ავრორა“ ისევ დინჯად იდგა ნევის შესართავთან, ორენიენბაუმის რაიონში. ბლოკადის მძიმე დღეებში „ავრორაც“ მიეშველა თავის მშობლიურ გმირ ქალაქს.


პეტერპოფი სამი მხრით გარშემორტყმული იყო. გერმანელთა ფაშისტური ბანდები მთელი თავიანთი შესაძლებლობით უტყვენენ მას. ვერავი მტრის წინააღმდეგ დარაზმული იყო მთელი ლენინგრადი, ურიცხვი ტყვიამფრქვევები, ნაღმმტყორცნები და ზარბაზნები. მათ შორის ლენინგრადის

ბლოკადის გარღვევაში მონაწილეობის მიხედვით აღიარებული იყო ჩამდგარი „ავრორის“ გემბანიდან მოხსნილი ცისფერი მეფე-ზარბაზანი. იგი კვლავინდებური სიმღერით სჭექდა, მისი გუგუნი „მიშის“ ზარს სცემდა გერმანელთა ურდოებს.

ბლოკადა გარღვეულ იქნა, მტერი განადგურდა. მეფე-ზარბაზანი კვლავ „ავრორაზე“ იმავე ადგილას დადგეს, სადაც იგი იდგა 1917 წლის 25 ოქტომბერს.

„ავრორა“ გადაეცა ჩვენი ქვეყნის ნორჩ მეზღვაურებს — ნახიმოველებს. სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, ეს სახელოვანი კრეისერი ნორჩ ნახიმოველებს შეაჩვენეს და შეაყვარებს მეზღვაურულ ცხოვრებას. გაწვრთნის მათ შეუპოვარ მებრძოლებად, შეასწავლის იმ მაღალ მოვალეობას, რომელსაც ეწოდება სამშობლოს დიდებისათვის მეზღვაურული თავდადება.

პოლიო აბრამი



გორელ ამხანაგებს

ნეტავ, მეც ვიყო გორელი,
ნეტავ, მეც თქვენთან მატარა,
გორის ციხესთან აღზრდილი
ბიჭუნა ვიყო პატარა.

კრემლის ბუეს მოვინახულებ,
ლაღლად ფრთებს გაფული გორიდან,
ყველამ ასე თქვას ტკბილი ხმით:
„გორელი ბიჭი მოვიდა“.

ლიმდაფენილი შევხედავ
კრემლის მადლიან ნათურას,
შევხედავ, გულს გადავუშლი,
ვესაუბრები ქართულად.

წკრიალა ლექსებს ვუმღერებ
ფრენით მისული გორიდან,
და ხალხიც იტყვის ტკბილი ხმით:
„გორელი ბიჭი მოვიდა“.

ვახტანგ ფურცხვანიძე

ქუთაისის რკინიგზის ვაჟთა მე-20
საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე





შავი ზღვის პირას ქ. გოგიაშვილი

შესვალთ თუ არა მხარდმწვანე მცენარეებთან ეზოში, მაშინვე იგრძნობთ შესანიშნავ წესრიგს. საძინებელი ოთახები დასუფთავებული და სანიმუშოდაა მოწყობილი. მორიგეები თავის ადგილზე დგანან. ყველა დამსვენებელი პიონერი ზრდილობითა და პატივისცემით ეპყრობა აღმზრდელებს. პიონერთა ოთახი ლამაზადაა გაფორმებული, შინაარსიანია კედლის გაზეთები. შთაბეჭდილებების ალბომები, დღიურები. მაგიდაზე სუფთად აწყვერა წიგნები: „სტალინი ახალგაზრდობის შესახებ“, გ. ლეონიძის „ბავშვობა და ყრმობა“, ფრონტელ მებრძოლთა ლექსების კრებული — „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“, „ტანია“, „ლიზა ჩაიკინა“, გაზეთები... ეს პიონერული ბანაკი ქობულეთში, ქუთაისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტსა და განათლების განყოფილებას ეკუთვნის. ბანაკს პედაგოგი ჯანსუღ საკანდელიძე ხელმძღვანელობს. გამოცდილი პედაგოგების მიერ აქ სისტემატურად ტარდება ლექციები და საუბრები როგორც პოლიტიკურ, ისე ისტორიულ თემებზე.

პიონერთა გამსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა ლ. ლაფერაძემ. ის ბავშვებს სისტემატურად ესაუბრება ისტორიულ თემებზე: „ველათი როგორც ისტორიული ნაკრძალი“, „გიორგი სააკაძე“, „1812 წლის სამამულო ომი“, „თამარ მეფე“, „მეფე ერეკლე“, „რუსეთის მხედართმთავრები:

კუტუზოვი, სუფოროვი, ალექსანდრე ნეველი და ბაგრატიონი“.

ფიზკულტურის მასწავლებელმა გ. დანელიამ შინაარსიანად და გეგმიანად წარმოართა თავისი მოწაობა. სპორტი ბანაკში მან ბავშვთა საყვარელ დარგად გახადა. აღნიშნული ბანაკი ყოველთვის გამარჯვებული გამოიღოს მიზობილ ბანაკებთან ფიზკულტურის, თრინბურთის. ჩაურვისა და ჭირაკის შეჯიბრებებში. ამასწინად ჩატარდა ბანაკის შეჯიბრება ცურვაში. 1-ლი ადგილი დაიკავა ქუთაისის ვაჟთა 5-ე სკოლის, 6-ი კლასის მოსწავლე გიორგი გერსამიამ. მანძილი 25 მეტრი მან 22.7 წამში გასაურა. მეორე ადგილზე გამოვიდა ნოიარ ლომთათიძე. რომელმაც აღნიშნული მანძილი 23.4 წამში დაჰტარა.

ნაყოფიერად მუშაობს უთროსი პიონერ-ხილმძივანელი გ. ჯანაშვილი. მისი ზიომძივანობით ბანაკმა მრავალი საინტერესო ექსკურსია მოაწყო. ბავშვები ისტორიკულ მხლობელ კომიუნიკაციას, ნახის ჩაის არიფის ოსტატიბი, შიხაიორის შიმიღ ბავშვებმა კომიუნიკაციას აზიანის თავიანთი თეიმ-შემოქმედების ნიმუშები.

ბანაკში ისვენებენ ფრონტოლთა და ქუთაისის სიამაყის — ავტოქარხნის მუშაკთა შვილები.

პიონერთა ორი რაზმი. რომელიც 7 პიონერულ რგოლს აერთიანებს, ნიჭიერ ბავშვებისაგან შეესდგება. აქ არიან საქართველოს მესამე საბავშვო რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეები, მოკვკვავენი ძმები ლომთათიძეები და ი. ზელაში-

ძე, მომღერლები, ნორჩი დეკლამატორები და სხვები.

ბანაკი განსაკუთრებით ემზადება კომკავშირის არსებობის 30 წლისთავის აღსანიშნავი დღის ჩასატარებლად. ამ დღისათვის გათმობილი იქნება კედლის გაზეთის საგანგებო ნომერი და ჩატარდება საუბარი თემაზე: „სახელოვანი კომკავშირის 30 წელი“ და „გმირი კომკავშირელები სამამულო ომში“, მოეწყობა საღამო, რომელზედაც მოწვეული იქნებიან მეზობელ პიონერთა ბანაკებიდან, კოლმეურნეობებიდან და სამხედრო-საჰაერო ფლოტიდან საბატიო სტუმრები.

ბანაკმა შეფობა აიღო ერთ-ერთ კოლმეურნეობაზე როგორც მხატვრული მომსახურების მხრივ, ისე ჩაის კრეფაში დასახმარებლად. ბანაკს გახზარული აქვს შეხვედრა მოაწყოს ქობულეთის რაიონის სოციალისტური შრომის გმირებთან.

დიდიან საღამომდე საქმიანობს ბანაკი, და როდესაც მზე ზღვის ღმერთვალა ტალღებში ჩაიძირება, „ხაზის“ შექმნე, მოსწავლეთა მხიარული სიმღერა მთვარის შუქზე იქროსფრად ძოლივლივე ზღვას საამურად ეფინება.

* * *

ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია ცნობილია ლ. პ. ბერიას სახელობის განათლების მუშაკთა პროფკავშირის ქობულეთის პიონერული ბანაკი. წელს ეს ბანაკი მომსახურებას უწყევს 450 ბავშვს.

ბანაკი სისტემატურად აწყობს ექსკურსიებს მეტად საინტერესო ადგილებში. პიონერ-მოსწავლეებმა იხახულეს ქობულეთის აეროდრომი, დაათვალიერეს ბათუმის რევოლუციური მუზეუმი, აჭარის პიონერთა პარკი და სხვ. კომკავშირის 30 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით პიონერხელმძღვანელი ბავშვებს ესაუბრა საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთ დამაარსებლის ბორის ძეგლადის რევოლუციური მუშაობის შესახებ.

ბანაკში ხშირად ეწყობა სპორტული გართობანი. თბილისის ვაჟთა 8-ე სკოლის მოსწავლე ვაჟა ჩიტორელიძემ ბანაკის საჭადრაკო შეჯიბრებაში ათი პარტიიდან ათივე მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა.

18 ივლისს, ავიაციის დღეს, ბანაკს ესტუმრნენ საბჭოთა კავშირის გმირი, მთორი ი. გ. ბორისოვი და კაპიტანი ი. პ. ტომჩენკო. მამაცმა მფრინავებმა ბავშვებს უამბეს გმირული ბრძოლების ეპიზოდები. ტომჩენკოს ნაწილმა, სამამულო ომის მრისხანე დღეებში, 1737 გაფრენა მოახდინა და მტრის 526 თვითმფრინავი ჩამოაგდო, საბჭოთა კავშირის გმირს ბორისოვს, 562 საბრძოლო გაფრენიდან, 182 საჰაერო ბრძოლაში აქვს მიღებული

მონაწილეობა, მის მიერ განადგურებულია მტრის 25 თვითმფრინავი.


საბატიო სტუმრებს პიონერ-მოსწავლეებმა თავიანთი შემოქმედების ნიმუშები წარუჩინეს. დასასრულ, ახმაზე აღმართული დროშა დაუშვა გმირმა ბორისოვმა, როგორც საბატიო პიონერმა.

31 ივლისი ბავშვთა სასიხარულო დღე იყო. ბანაკს ხაშურიდან ფეხით ესტუმრნენ გმირული ლენინგრადის პიონერები. მათ ინახულეს ბელადის სამშობლო გორი, სახლი, სადაც დაიბადა დიდი სტალინი და თავიანთ დღიურებში ღირსშესანიშნავი შთაბეჭდილებანი ჩაიწერეს.

მასპინძლებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს და ზეიმით გააცილეს ისინი ბათუმისაკენ.

* * *

ზაფხული მიიწურა. ქობულეთში, შავი ზღვის პირას, პიონერთა ბანაკებში შეუწყლელი ფუსფუსია. მოსწავლეები საზაფხულო დაგალებებს ასრულებენ, ხუთოსნები შედარებით სუსტებს ეხმარებიან. ყველანი ერთი აზრით და ერთი სურვილით არიან გამსჭვალულნი. მათ სურთ მომავალი სასწავლო წელი უფრო წარმატებით დაამთავრონ. ბანაკების დახურვისას პიონერ-მოსწავლეები კოცონთან შეიკრიბებიან. მათ მღელვარე თვალებში და მგზნებარე გულში მადლობა და სიყვარული აღიბეჭდება დიდი ბელადისადმი.





თვითმფრინავები ბერიას მოედანზე

მოედანზე დაფრენილან,
სხედან მკერდაწეული;
აქ მოსვლას და მოსვენებას
როდის იყვნენ ჩვეული?!

მათი ბუდე აქ არ არის,
აქ თბილისის გულია!
გარს კრიალა ავტოები
მორიდებით უვლიან.

თავს სტუმრებად არა გრძნობენ,
რა თამამად არიან!
ქუჩებიდან მნახველები
გუნდად შემოჯარიათ.

ღიმილით და სიყვარულით
თვალს ვერაჯინ აცილებს,
გარს უვლიან, შეჭხარიან
ამ ფოლადის არწივებს.

მოხდენილად დაფრენილან,
სხედან მკერდაწეული;

აქ მოსვლას და მოსვენებას
როდის იყვნენ ჩვეული?!

— ფრთა შეისხით, დღეობა გვაქვს! —
თითქოს ერთად მღერიან.
— ჩვენც მამულიშვილები ვართ,
მისი შუქი გვფენია.

დავკარ ტაში... თვითმფრინავებს
მივულოცე დღეობა. —
მოფრენილან, რომ შეგვმატონ
ხალისი და მხნეობა.

მოფრენილან, რომ გვაამონ,
ბევრი კარგი გვიამბონ,
მთაში, ბარში მათი მკერდი
ლაყვარდს როგორ მიაპობს.

გვახარებენ, ვით სამშობლოს
ფრთაშესხმული შვილები,
ჩვენთვის დარში და ავდარში
მუდამ ფრთაგაშლილები.

გიორგი კახანიძე



ზაზა პესნი

მერკან ლეხანიძე

ნახატები ა. გიგოლაშვილისა

მოსტროვა *

თავი მეოთხე

წყეული ბოლოცეცხლა

ხუთი თვე იქნება, რაც ზაზას დედუღეთი აღარ მოუნახულებია. უყვარს ზაზას დედუღეთი. ლამაზი სოფელია ღარი: ხილიანი, ვენახიანი და ბავშვების უივილით აქლებული.

ხუთიოდე წლის წინათ პატარა ზაზამ ძია უჩა გაიცნო დედუღეთს; წისქვილის წყალთან ტილო გაეფინა და ხატავდა. რა კარგი იყვნენ ის ფერები! სლამომდე არ მოსცილებია ახლად გაცნობილ ძიას. ბებია მძალად წაიყვანა სავაზშმოლ.

მას შემდეგ კიდევ უფრო შეუყვარდა ზაზას დედუღეთი. ყოველ შემოდგომაზე ჩამოდის ძია უჩა სოფელში. მეორე დღესვე შეიტყობს ზაზა ოსტატის ჩამოსვლას და დედუღეთს გაჩნდება.

— ჩემი შეგირდო. — თქვა ძია უჩამ, როცა ბებია პელომ ზაზა-ბიჭის პირველი ნამუშევარი აჩვენა მალულად.

მას შემდეგ აჯერ სამი წელიწადი გავიდა. ასარებს ოსტატს შეგირდის ნიჭი და ძმაკაცურად უღიმის:

— დავაყვაცებულხარ, საუღვაზე აგმწვანებია... წუხელ რად არ მნახე?!

— გვიან გადმოველ, ძია უჩა, ვახშმობა კარგახნის გადასული იყო.

— ახალი რა დახატე? ხელი ხომ არ შეუმვი?! იმედი არ გამიქარწყლო, ბიჭო!

ზაზას გულისძგერა აუვარდა. ახალი ის დახატა, რაც ახლა პატარა ელისოს ზურგსუკან ამოუფარებია და ზაზას ნიშანს ელის. ელისომ აივანზე „ლახტური“ გაფინა.

ძია უჩამ ხელი მოიჩრდილა და უკან დაიხია. ზაზას თვალი არ მოუცილებია ოსტატისათვის, გული ისევ ისე უფრიალებდა, ვაი თუ დაიწუნოსო ნამუშევარი. მაგრამ არა, ძია უჩამ გაიღიმა, შეგირდს ლოყაზე ხელი მოუთათუნა და აკოცა.


მერე ძუნწად თქვა:

— ყოჩაღ!

ვენახებში ისეირნეს, ისაუბრეს. ოსტატი ახალ საინტერესო ამბებს მოუთხრობდა, არიგებდა. ორი დღე არ მოსცილებია ზაზა.

გაბრუებული და ბედნიერი ბრუნდება ზაზა შინ. იგონებს ოსტატის ყოველ სიტყვას და სწონის. საშუალო სასწავლებელს რომ დაამთავრებ, სამხატვრო აკადემიაში ისწავლიო, რა თქმა უნდა! ამ ნამუშევარს კი თავის გზას ვუპოვნო...

*) გაგრძელება. იხილეთ ჟურნ. „ბიონერი“ №№ 6, 7.



ნეტავ, რად დაიტოვა „ლახტური“?
 გამოშვილობებისას ძია უჩამ უთხრა: ტილო გაკლია ალბათ, სოფელში ვერ იშოვხიო შესაფერისს. მერე შებრუნდა და, აგერ ეს შეკვრა გამოუტანა, ხურჯინის მათჯვენა თვალში რომ მოსჩანს, — ტილოში გაჩრილი წყვილი ფუნჯი და ხეთის საღებავების გრძელი კოლოფი.

სადილობა ახალი დამთავრებული იქნებოდა, ქრისტესზე რომ გადმოდგა. უკახასკნელი სერებიც ჩამოათავა, ჩაძოვიავა და ცხეხი დაათხა. ნუნუს ქიშკართან გაოფლილი „შავი მერცხალი“ ნაბიჯზე გადაიყვანა და ეზოში გადაიხედა.

ნუნუ არსად ჩანს, ეზოში ფაცი-ფუცია, ვიდაცას ხელს აბანინებენ, ვიდაცა გარბის, — სტუმრიანობა ჰქონიათ, ეტყობა!

ისევ დაათხა ცხენი და დედას ქიშკორდანვე გასძახა. ეზოში დუმილი იდგა. ზაზა ცხენიდან გადმოხტა, აღვირი სარზე გადააგო, ტანსაცმელი გამოიცვალა და ნუნუსკენ გასწია.

წისქვილებთან ხათუნა შემოეფეთა ზაზას. შეცბა და დაიბნა გოგონა. ეტყობოდა არ ეათა ზაზას ნახვა, არც ელოდა ასე ადრე.

— რა ამბავია, ხათუნი? ნუნუსთან ყოფილხარ, გამობრუნდი, შემყვევი... ხომ მშვიდობაა?!

ხათუნა შეეყოყმანდა, ხელი ძლივს ჩამოართვა, მერე განზე მიიბრუნა პირი და... ტირილი წასკდა.

ზაზას სუნთქვა შეეკრა, მკლავებში ხელი ჩაავლო აცანცახებულს და მოუთმენლად შეახჯღრია:

— რა ამბავია შეტიქი, გოგო! თქვი, თორემ გავგიჟდი!

ხათუნა გაჩუმდა, თქმა დააპირა, მაგრამ უმალ ყელში მოეხიჩხინა ბოღმა და ისევ წასკდა ტირილი.

ზაზას ელდა ეცა. ერთ წამს გონებას ძალა დაატანა, გუჟანი ნუნუს ეზოში მოფუსფუსე ხალხზე აიღო, ატირებული გოგო შარავზაში მიატოვა და გაქცა.

 იმ წუთს, როცა „შავი მერცხალი“ სერს მიეფარა, შარა გზაში კუნძივით დადებულ ნოდარს ხრიხონელი ბიჭები წამოადგნენ თავს. ჯერ გაოცეს, მერე ბევრი იცინეს და ბოლოს ხელ-ფეხი შეუხსნეს.

— ეს, ალბათ, შქმერული „ომობანაა“ — თქვა ერთმა, მერე უხერხულობის გასაქარწყლებლად დაუშატა:

— ჰო, მივევალსა ჰგავს ნამდვილად!
 — ალბათ, მართლა „ომობანაა“! — გასწილა მეორემაც და გზა განაგრძეს.

როცა ბიჭები თვალს მიეფარნენ, დაუშვილმა მკერდზე მუშტი აიბაგუნა ფიცა:

— მოგიკვდე, თუ არ გადაგიხადო!
 და გადაუხადა: ცულ მხედარს ცხენი რომ გაექცევა, უნაგირს მისწვდება; სალამოხანს წყაროზე მოსულმა გოგონამ კოკა რომ ააგსო, წინ აესვეტა:

— ნუნუ, მე ვარ, ნოდარი!
 ბინდებოდა. ცაცხვიანში სხვაზე მეტად ბნელოდა. გოგონას გული გადმოუბრუნდა.

— მერე და, რა გიხდა ჩემგან?!

— არაფერი... ცოტა სალაპარაკო მაქვს შენთან.

— გისმენ!
 დაუშვილისა ბევრს ერიდებდა, თვითონ კი ამხანაგებში მხოლოდ ნუნუსს მორიდებდა აქვს; საოცარია! შორიდან აპირებდა დაწყებას—

ენაზე მაინც ზაზას სახელი მოადგა:
 — ზაზა ქალაქუნაა, ნუნუ! შენ კი მასთან მეგობრობ!

ხუნუს გული ეტკინა, სახე აელამპრა და ტუჩებზე ზიზი აესახა:

— ცდები, ნოდარ, ცდები!
 ნოდარი თვითონაც გრძნობს, რომ ცდება, ქამრების ამბავი და ხრიხონელი ბიჭების ღიმილი ჯერაც ვერ მოუწელებია და იხტიბარს მაინც არ იტყვის:

— ქალაქუნაა, ქალაქუნა! გოგოებთან მეგობრობს. სადაც კი ვნახეთ, ყველგან იცინოდით. ალბათ მარტო მაშინ იცინით ხოლმე, როცა მე დამინახავთ. დღეიდან ზაზას ხმას აღარ გასცემ! გესმის?! თორემ...
 შეჩერდა, სუნთქვა შეეკრა. ხმაში ეტყობოდა საცუდკაცო.

გოგონას ლამის გული წაუფიდა; კოკა იქვე გაემსხვრა ქვაზე და ზიდისაკენ გაიქცა. მორებზე ფეხი დაუცდა და გულაღმა შეტრიალდა...

კიდევ კარგი, პატარაა ხეორისწყალი. ნირშეცვლილმა დაუშვილმა თვითონვე შესტობა წყალში, ლუკია მწიქსქვილაც გამოვარდა ყვირილზე და ცოცხალმკვდარი გოგონა წისქვილში შეიტანეს.

ახლა, ნუნუკა იმ პატარა ოთახში წევს, აი, მარჯვენა სარკმელი და აივანი კახამბლებისაკენ რომ იყურებიან. არა, სარკმელი კი არ იყურება, კახამბლები, გაძარცული კახამბლები იყურებიან სარკმელში.

გულამოვარდნილი და უცნაურად თვალგანათებული შემოვარდა ზაზა აივანზე. დეიდა ელისაბედმა შორიდანვე მოსძახა:

— მოდი, ზაზული! მოდი, ბიჭო, მოდი!
 ქალეზმა შეუტიეს:

— იყოჩე ქალო, ღმერთს ნუ სჯობდავ! —
მერე ზაზას მიუბრუნდნენ და ანიშნეს: სძი-
ნაფსო ნუნუს.

ზაზა ნუნუს თავსასთუმალთან შეჩერდა
და ქვედა ტუჩი აუკანკალდა, მერე თავი
შეიმავრა და წარბი შეიკრა:

წყვილი ნაწნავი თეთრ ბალიშზე მიმო-
ჭვანტვია შავად ნუნუს... ლოყები არაბუნებ-
რივად ასწითლებია, პატარა, სიფრიფანა,
ხახვისფურცელა, გამწრალი ტუჩები გაბუ-
ტულივით გაუშვერია, კისერი ბალიშზე გა-
დაუჯდია და აჩჩარებით სუნთქავს.

ფილტვების ანთებააო ეთქვა ექიმს, რომე-
ლიც უცე წასასვლელად ემზადებოდა.

სალამო ხანზე, ხალხი რომ დაიშალა, ზაზამ
დრო იხელთა და ექიმთან გაჩნდა ზედა
უბანში.

— როგორ არის?! — იკითხა მოუთმენ-
ლად ექიმმა, — გაიოვიძა?

— მი თქვენთან მოვედი საკითხავად, —
მიუგო ზაზამ, — სიცხე აქვს, ბოდავს და
სძინავს ისევ.

თავი ჩაჰკიდა ექიმმა.

— მითხარი რაზე, ექიმო?! — შეევედრა
ზაზა.


ექიმმა სარკმელში გაიხედა, ჩაფიქრდა
და მოიღრუბლა. მერე ხელი ჩაიქნია:

— ფილტვები ჰქონდა სუსტი, ახლანდელი
ღვე ანთება!..

რეტდასხმული გამოლასლასდა ზაზა შა-
რაგზაზე. გუშინდელ სიხარულს ჩრდილი
წაჰლიბროდა. მამ ჭლექიანია ნუნუ?! ახლა-
და მიხვია ზაზა ორიოდე თვის წინანდელს,
დედამ რომ გააგდო ნუნუსთან: წადი, ნახე,
ავად არისო ნუნუ...

ვენახისპირზე ბოლოცეცხლა გამოვარდა:
ჭლექი! ჭლექი! ჭლექი! — დააკვესა სამჯერ
და ისევ მაყვალში გადავარდა.

ზაზას გააყრუოლა.





არა... ნუნუ არ მოკვდება! შეიძლება ბევრი მოუკლავს ჭლექს, მაგრამ ნუნუს ვერ მოკლავს! ზაზას კი სრულიადაც არ ეშინია ჭლექისა! აი, სინჯეთ, ჩამორიდებით ნუნუს საარქმელში და ნახეთ საკუთარი თვალით, როგორ ახლოს დაჯდება ნუნუს თავსასთუმალთან...

მოსახვევში ისევ გამოვარდა წყელი ბოლოცეცხლა და ბინდში დაიკარგა ისევ. ზაზამ ყურებზე იტაცა ხელი.

* * *

აგერ ორი კვირაა, რაც სკოლას აღარ ვაპარებია ნოღარი. დეიდასთან გადაბარგდა მეზობელ სოფელში. პირველხანებში, ნუნუს ცუდადყოფნას რომ ეტყოდნენ, თავს იმედებდა, მაშინებნო ალბათ. ახლა, თავად შეეპარა შიში და მაღიმალ კითხულობს ნუნუს ამბავს.

ზაზა გულჩახვეული ზის გაკვეთილზე. დამრიგებელი არაფერს ეკითხება, იცის შალვა-დამრიგებელმა ზაზას აფორიაქებული გულის ამბავი... არაფერია, — ფიქრობს სევანძე, ზაზა თავის გზას იპოვნის, ოღონდ... ოღონდ რა?!

ოღონდ ის, რომ ნუნუს რა ეშველება!.. — რა ეშველება ნუნუს?! — ეკითხება ზაზაც თავის თავს.

ნოემბერი მიიწურა, ფოთოლი ცვივა, ნუნუ ხმება, იცრიცება, ფილტვების ანთება გადაიტანა, მაგრამ...

წყელი ბოლოცეცხლა არ ეშვება ზაზას, სადაც არ ჰკონია, შემოეფეთება, შემოაკვესებს და გულს გაუკაწრავს.

დარღობს ნუნუ, სწორებში გამოეწყვიდო. გუშინ აივანზე ისურვა დაჯდომა, შემოდგომის მზეზე. შეფუთნეს და გამოიყვანეს ფრთხილად. გინდა თუ არა, ხმამაღლა წამოკითხეო გაკვეთილი, არ მოეშვა ზაზას, მეც ვისწავლიო, თორემ გამიცდებო წელზე წადი...

ნეტამც არ დაეჯერებინა ზაზას: აივანზე ნიავმა დაჰკრა და ისეთი ხველა აუტყვდა, ლამის გული შეუღონდა.

გახდა ნუნუ, გაილია, იქამდე გახდა, რომ ახლა მართლა ერიდებიან ამხანაგები. გოგისა შეშა გაუჩნდა მოსაზიდი, შაქარა კი გაკვეთილების დამზადებას ვეღარ ასწრებს.

ხათუნა და ზაზა შერჩა მარტო. აი, ახლაც თავსასთუმალთან უზის გოგონათუნი და ლადო ასათიანის ლექსებს უკითხავს.

— ის წამოკითხე, ის!
— რომელი? — ამბობს ხათუნა და ორ ფურცელს იბარავს, — არ უნდა გული ატკინოს.

— აი, ის, უსათაურო! ხათუნამ ისევ გადმოფურცლა და აჩქარებით ჩაიკითხა:

... შენ ჰიპოკრატემ ჭლექი ვიწოდა და მხოლოდ მაშინ შეშინდი ცოტად. შენ გაღუქროლე რომის ქარვასლებს და შეამფოხო რომაელები, მაგრამ ახალი დროის ქალ-ვაყებს ამჟოდ ცდილობ, რომ გაერევი! შენ შეგჩრჩეს ვაჟას ფილტვების დაღრღნა და ჩემს დაცემას ნუ ლამობ ახლა...
ო, განვედ ჩემგან, ძლიერო სენო, ჩემ შემდეგ ნურგინ ნუ მოგხსენოს!

აივანზე ფეხის ხმა გაისმა. ოთახში ზაზა შემოვიდა. ხელში ბარათი ეჭირა. ხათუნამ წიგნი ბალიშის ქვეშ შეინახა საჩქაროდ. იცნო ზაზამ წიგნი, ნაწყენი თვალებით შეხედა ხათუნას და სკამზე ჩამოჯდა.

— როგორ ხარ, ნუნუკა?
— კარგად ზაზა, დღეს უკეთ ვარ! ექიმმა თქვა მალე გაივლის, ნურაფერს იღარდებო! ამოვარდნილ ყვრიმალეებზე ხელი გადაუშვა დობილს ზაზამ, ამოდ ეძებდა იმედს, ნუნუს ხელები დღეს უფრო ცვი ეჩვენა. თითები მოიმტვრია და დაჰმუჭვნილ ბარათს დახედა.

— ჰო, ნუნუკა, ბარათია მოსკოვიდან. ძია უჩას ჩემი „ლახტური“ მოსკოვს გაუგზავნია. ზამთრის არდადეგებზე სამხატვრო გამოფენა ეწყობა მოსკოვში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. შენი სურათი შერჩეულიაო გამოსაფენად, უსათუოდ უნდა ჩამოხვიდეო, — იწერება ტანია.


— მართლა? — გაიხარა ნუნუმ და ლოგინზე წამოჯდა, — რა კარგია! მე ასეც ვიცოდი, რომ გაიმარჯვებ, ზაზა, გაიმარჯვებ... მერე უცებ მოიწყინა.

ზაზა მიხვდა მოწყენის მიზეზს. არა, არ წავა ზაზა მოსკოვს, არ მიიტოვებს ნუნუს უკანასკნელ წუთებში. თუმცადა, როგორ თუ უკანასკნელ წუთებში?! განა მართლა არაფერი ეშველება ნუნუს?!

ზაზას რაღაც ჩაუწყდა გულში და გააჟროქოლა.

— ზაზა, ზაზული! განა მე კი არ დამხატავ! დამხატე, ზაზა. აი, ასე, ბალიშზე თავმიდებული დამხატე... რად მიცქერი აგრე გაკვირებული?! ულამაზო ვარ, გამხდარი ვარ განა?! არ გინდა დამხატო?!

ზაზა ფეხზე წამოვარდა გველნაკბენივით. ხათუნამ თვალებზე ხელი მიიფარა და ერთ წუთს ოთახში სამთა ქვითინი გაისმა.



* * *

დეკემბერი მიიწურა. ნუნუმ შემოდგომას გააღწია, ზამთარიც მშვიდობით ჩაივლის ალბათ, მაგრამ... აბრაილში ყაყაჩოები მოვლენ, ია-იები მოვლენ და, ვაი, თუ თან წაიყვანონ ფერმკრთალი გოგონა!

დეკემბრის ოცს მოსკოვიდან დეპეშა მოვიდა. ახლა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე ეპატიჟებოდა ზაზას.

რა კარგია ახლა მოსკოვს! უკრაინიდან, ყაზახეთიდან, სომხეთიდან... საიდან არ იქნებიან ზაზას ტოლები. ეხ, ნეტა ტრეტიაკოვის გალერეა აჩვენა ზაზას!

— წადი, ზაზული, წადი! — წამოსცდა ერთ დღეს ნუნუს.

— არ წავალ! — მოკლედ მოსკრა ზაზამ.
— რად არ წახვალ? უნდა წახვიდე!
— არ წავალ, ვთქვი და არ წავიდე!
ჯიუტდა ზაზა.

ახა, ვინ არ იცის, რომ მესხის ბიჭი სიტყვას არ გასტენს, მაგრამ ერთ საღამოს გიორგი ეჭიმის ერთმა სიტყვამ დააბარბაცა, ცას დაწია, რაღაც აპოვინა და გაუტენელი სიტყვა გაატენინა.

— დედი, საგზალი მეთქი, საგზალი! მივდივარ მოსკოვს!

მიტრიალდა, შარამი გაიჭრა და უმალ ნუნუსს აივანზე გაჩნდა.

— ნუნუკა, მივდივარ, მოსკოვს მივდივარ! ათ დღეში შენთან გავჩნდები.

(დასასრული იქნება)



პიონერებთან ბანაკში

ქვიშეთის ლ. პ. ბერიას ბანაკის პიონერებს

ჩემი საღამო წარმტაც გოგონებს,
მშობლიურ ქვეყნის გულის ვარდობას,
თქვენთან შეხვედრა წარსულს მაგონებს
და ჩემს დაუმცხრალ ახალგაზრდობას!

თქვენთან ბანაკში ბევრჯერ მივლია,
ეს ალტაცება ვერვინ შელახოს,
ეს სიხარული სულზე ტკბილია,
თქვენი გაფურჩქვნა კვლავაც მენახოს!

მოვესწარ დღეთა გამაისებას
და გხედავთ ვარდებს ახლა სხვაგვარებს,
თქვენს გამარჯვებას, სიყრმის ღირსებას
ახლო ნიავსაც აღარ ვაკარებთ!

შეთვისებინხართ ველებს და გორებს,
მტკვარი დუდუნით გიმღერით ნანას,
ნაძვთა სურნელში მზე გიამბორებთ,
ცა მშობლიური გაფრქვევთ მანანას!

უხვი ბუნება სიცოცხლით გმოსავთ,
დიდი სტალინის მზის ქვეშ გაზრდილებს,
ბევრჯერ კვლავ თქვენთან მეღირსოს მოსვლა,
რომ ვიგონებდე ჩემს სიყმაწვილეს.

კალე პომონიძე



დიდმა ლენინმა გვიანდერძა

უზარმაზარი დარბაზი ხალხით იყო გაჭედლი. ბევრს დასაჯდომი არ ჰქონდა და ფეხზე იდგა.

...ტრიბუნასთან მივიდა ვლადიმერ ილიასძე ლენინი. დარბაზში ტაშმა იგრიალა, „ვაშას“ შეძახილები დიდხანს, დიდხანს არ შეწყვეტილა. დამსწრენი უსაზღვრო სიხარულით, უდიდესი აღტაცებით შეხვდნენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელს.

ეს იყო 28 წლის წინათ, 1920 წლის ორ ოქტომბერს მოსკოვში, რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის III ყრილობაზე.

პერიოდი, როდესაც კომკავშირის III ყრილობა შეიკრიბა, ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის ძალზე მძიმე პერიოდი იყო. ეს იყო სამოქალაქო ომის წლები. ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები იარაღით ხელში იცავდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაბოვარს, სასტიკ ბრძოლას აწარმოებდნენ უცხოელი ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ; სახალხო მეურნეობა მოშლილი იყო, ქარხნები და ფაბრიკები თითქმის ყველანი უქმად იდგნენ.

მაგრამ ამ დღეებშიც ლენინი ხედავდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის სრულ გამარჯვებას, მის თვალწინ ისახებოდა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი გზები, მისი პერსპექტივები.

რაზე ლაპარაკობდა დიდი ლენინი ყრილობაზე? რა ამოცანები დაუსახა მან კომკავშირს, საბჭოთა ახალგაზრდობას, რა გვიანდერძა მან?

ახალგაზრდობა მოწოდებულია ძველი თაობის — ბოლშევიკების საბრძოლო დროშა საბოლოო გამარჯვებამდე მიიტანოს, „სწორედ ახალგაზრდობამ უნდა გადასჭრას ნამდვილი ამოცანა კომუნისტური საზოგადოების შექმნისა“, — ამბობდა ლენინი. აქედან გამომდინარე, დიდი ბელადი მომავალი თაობის აღზრდის საქმეს დიდ ყურადღებას აქცევდა. ახალგაზრდობა ვერ შესძლებდა კომუნისტების მშენებლობას ცოდნის გარეშე, მეცნიერების დაუფლების გარეშე. ლენინმა მოგვიწოდა, შეგვეძინა ცოდნა, შევიარაღებულიყავით მეცნიერებისა და კულტურის

მონაბოვრით. ამისათვის კი საჭიროა დაუღალავი სწავლა, შეუბოვარი, სისტემატური მეცადინეობა. „კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს, — ამბობდა ვლადიმერ ილიასძე, — როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუძლებელია“.

მაგრამ დიდმა ლენინმა გვითხრა არა მარტო ის, თუ რა დევსწავლა, მან, ამავე დროს, ბრძნულად მიგვითითა იმაზე, თუ როგორ გვესწავლა. ამ საკითხს ვლადიმერ ილიასძემ თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო.

ლენინი სასტიკი მტერი იყო ზეპირობის, ზერელობის. იგი ახალგაზრდობისაგან მოითხოვდა, რომ არ ჩაეეტილიყო სკოლის კედლებში, არამედ თავისი სწავლა, ცოდნის შეძენისთვის გადადგმული თითოეული ნაბიჯი მტკიცედ დაეკავშირებია ცხოვრებასთან, პრაქტიკულ მუშაობასთან, დაემორჩილებია მშრომელთა ინტერესებისათვის. ჩვენ არ გვინდა ისეთი სწავლა, რომელიც ხალხს არ გამოადგება, ისეთი ცოდნა, რომელიც საზოგადოებას სარგებლობას არ მოუტანს. „ჩვენ არ ვიწამებდით სწავლას, აღზრდას და განათლებას, ის რომ მხოლოდ სკოლაში ყოფილიყო ჩაკეტილი და მშფოთვარე ცხოვრებას მოწყვეტილი... კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი მხოლოდ მაშინ გაამართლებს თავის სახელწოდებას, რომ ის კომუნისტური ახალგაზრდა თაობის კავშირია, თუ იგი თავისი სწავლის, აღზრდის, განათლების ყოველ ნაბიჯს დაუკავშირებს მონაწილეობას ყველა მშრომელის საყოველთაო ბრძოლაში ექსპლოატატორთა წინააღმდეგ“, — სთქვა ყრილობაზე ლენინმა.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა — ეს არის კომკავშირის მთავარი, ძირითადი ამოცანა, მაგრამ კომუნისტური აღზრდა მარტო სწავლა, მეცნიერების დაუფლება კი არ არის, იგი ამავე დროს ნიშნავს ახალგაზრდობის დარაზმებას, ბრძოლას ახალი საზოგადოების — კომუნისტური საზოგადოებისათვის.

„ახალგაზრდობის კავშირის ამოცანაა, — ამბობდა ლენინი, — ისე მოაწყოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა, რომ ამ ახალგაზრდობამ ისწავლოს, დაირაზმოს, შეკავშირდეს, იბრძოლოს და ამ გზით აღზარდოს თავისი თავი და ყველა ის, ვინც მასში წინამძღოლს ხედავს, აღზარდოს კომუნისტებად“.


თავის ისტორიულ სიტყვაში ლენინი მოითხოვდა, რომ ახალგაზრდობა აღგვეზარდა ადრიდანვე, 12 წლიდან, შეგნებულ, დისციპლინის მქონე, შრომის მოყვარულ ადამიანებად, რომ შრომა ყველა ახალგაზრდისათვის სავალდებულოა. ლენინი ასწავლიდა კომკავშირელებს, ახალგაზრდობას, რომ მათ მთელი თავიანთი შრომა, მთელი ძალ-ღონე მოახმარონ საერთო საქმეს, საზოგადოების ინტერესებს, „რომ ყოველდღე ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში ახალგაზრდობა პრაქტიკულად სწყვეტდეს საზოგადო შრომის ამა თუ იმ, თუნდ სულ მცირე, სულ უბრალო ამოცანას“.

ლენინმა მსურველედ მოუწოდა ახალგაზრდობას, ახალი კომუნისტური მორალის ანუ ზნეობის სწავლისაკენ. „ზნეობა, — ამბობდა ლენინი, — იმას ემსახურება, რომ ადამიანთა საზოგადოება უფრო ამაღლდეს“. ვლადიმერ ილიას-ძის ბრძნულ სიტყვაში განსაზღვრულია ის თვისებები, რომელიც

ახალი ეპოქის ადამიანს უნდა ახასიათებდეს. კომუნისტური მორალის, ზნეობის საფუძველია სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინისადმი დიდი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება და თავდადება, სოციალისტური საკუთრებისადმი გულისხმიერი მოპყრობა, ჩვენი ქვეყნის მტრებისადმი სასტიკი სიძულვილი. ასეთი სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზარდისაკენ მოგვიწოდებდა ლენინი.

ლენინის იდეები ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ შემდგომ განავითარა და გაამდიდრა ლენინის საქმის გენიალურმა გამგრძელებელმა, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ზალხის დიდმა ბელადმა მშობლიურმა სტალინმა. ახალგაზრდობას კარგად ახსოვს ამხანაგი სტალინის ბრძნული დარიგება: „შენება რომ შესძლო, საჭიროა ცოდნა, საჭიროა მეცნიერების დაუფლება, ხოლო თუ ცოდნა გინდა, უნდა ისწავლო“.

სახელოვანი ბოლშევიკური პარტია და მისი ერთგული თანამემწე კომკავშირი მტკიცედ ანხორციელებდნენ და ანხორციელებენ ლენინის ანდერძს და ამხანაგ სტალინის მიითებებს. ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეში ჩვენ ქვეყანაში იმდენი გაკეთდა, რაც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში



ვ. ი. ლენინი რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის III ყრილობაზე.

არ გაკეთებულა. მართო პირველ და მეორე სტალინურ ხუთწლედში 9 მილიონამდე ახალგაზრდამ მიიღო საშუალო განათლება. ამავე პერიოდში კომკავშირელებიდან სამშობლოსათვის მომზადებულ იქნა 215 ათასი ინჟინერი და ტექნიკი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, ექიმი და მასწავლებელი. მიმდინარე ხუთწლედში უმაღლეს განათლებას მიიღებს 602 ათასი ახალგაზრდა, ხოლო 1.300 ათასზე მეტი ახალგაზრდა დაამთავრებს ტექნიკუმსა და სხვა სპეციალურ საშუალო სასწავლებელს.

საბჭოთა ახალგაზრდობის სწავლა-განათლებაზე, აღზრდაზე ყოველდღიურად ზრუნავს ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა ახალგაზრდობა, მშობლიური სტალინი. ჩვენს ქვეყნში ახალგაზრდობას სწავლის, მეცნიერებისა და კულტურის მონაპოვართა დაუფლების, თავისი ნიჭისა და უნარის გაფურჩქვნის ყველა პირობა აქვს, მის წინაშე ვადაიშალა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფართო ასპარეზი.

გეორგი შიხიალავე



სიმინდის ყანა

ნიავე თავზე მევლება,
 ტკბილად მაშარიშურებს,
 მზე კი ციდან მიღიმის,
 სითბოს აღარ იშურებს.
 როცა სალამოვდება,
 წმინდა ცვარი მეფრქვევა.
 ტარო ოქროს მარცვალა
 უთვალავი მექნება.
 და შენც, ჩემო ვადიავ,
 მოამზადე გოდრები,
 ვიცი, ჭადს რომ გასტეხავ,
 ტკბილად მოგაგონდები.

სპარტაკ მხიჩია

ქუთაისის ვაჟთა მე-6 საშუალო
 სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე.





საიდუმლო

პეტრას ცვირკა

ნახატები ირ. რაზმაძისა

პეტრას ცვირკა ლიტვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოწინავე მწერალია. დაიბადა ცვირკა 1909 წლის 12 მარტს ლატავი გლეხის ოჯახში, მდინარე ნემანის ნაპირზე, სოფელ კლანგიაში. მწუყემის ბიჭი, სოფლის სკოლის მოსწავლე, შემდეგ კაუნასის სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლე, ლიტვის სეი-

მის დეპუტატი, ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ბოლშევიკი, მშრომელთა ხალხის გულითადი მეგობარი, ლიტვის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე—აი პეტრას ცვირკას ცხოვრების გზა. გარდაიცვალა პეტრას ცვირკა 1947 წლის 2 მაისს, 38 წლის ასაკში.

სტიიაპუკასმა ბევრი რამ იცოდა. თუმცა ის გულბინის ზანასს თან არ მიყავდა ნავით, როცა მიემგზავრებოდა კუნძულზე, სტიიაპუკასმა, სულ ერთია, იცოდა, რომ ზანასი იქ აბოლებდა ალუბლის ფოთლებით გატენილ თიხის ჩიბუხს. დაე, თუნდაც მამასახლის მატულისის ბავშვები არ იწვევდნენ მას ტყეში კურდღლების კაკანათების დასადგმელად, მან იცოდა მათი ყველა ოინების შესახებ. დიდი საქმეა — ეს ხაფანგები! სტიიაპუკასმა იცოდა მელიას სოროც, ბევრი ისეთი რამეც, რასაც არავის გაუმხელდა ქვეყანაზე. აი ყველანი, მაგალითად, ფიქრობენ, რომ შივა—ხეიბარია, ნამდვილად კი წესიერი ცხენია, მხოლოდ მარცხენა ჩლიქის ქვეშ ყველაზე მგრძობიარე ადგილას ლურსმანი აქვს შესობილი, განზრახ აქვს შესობილი, რომ პირუტყვი დაკოჭლდეს. როგორც კი მოვიდნენ გერმანელები, მამამ მაშინვე მიაჭედა ფეხზე ლურსმანი შივას. აი ამიტომაც არ წაიყვანეს ის ჯარისკაცებმა. გერმანელები ხეიბარ ცხენზე არ შეჯდებიან. ან, ფოქვით, შოშიების საბუღარი, სწორეთ ის, პაპამ რომ შეკრა ძველი დარაბისაგან, ივის მოუვიდოდა აზრად, რომ შოშიების ბუღის

ქვეშ დამალულია... ჰო, და თუ რა არის დამალული — ეს თქვენი საქმე არ არის, თქვენთვის ხომ არ არის, გერმანელებისათვის არის დამალული. ჰო და, სტიიაპუკასმა ბევრი რამ იცოდა. დაპირდით მას პიჯაკის ყველა სპილენძის ლილს, და კიდევ სართად ფეხსაცმლის საცხის კოლოფს, და დასაკეც დანას, და მთელ ბლუჯა ყინულ-შაქარს — სულ ერთია, სტიიაპუკასი არ იტყვის იმას, რაც იცის. მაგრამ, აი ერთხელ, სტიიაპუკასის მრავალ საიდუმლოს მიემატა კიდევ ერთი, ახალი, და როგორც ის შემდეგ მიხვდა, ყველაზე უმთავრესი. თავდაპირველად ის არც კი ხვდებოდა, რომ ეს საიდუმლო იყო. რა დიდი ამბავია, რომ მამა დადის საბძელში! ის იქ წინათაც დადიოდა: ხან პირუტყვისთვის თივის დასაყრელად, ხან ჭვავის დასაცეხვად. მაგრამ რათ დაიწყო ახლა მამამ კალთის ქვეშ საბძელში კარდალით წვნიანის და პურის ყუთის ზიდვა? აი აქ უკვე ვეღარ გარკვეულიყო სტიიაპუკასი. იქნება ცხენისათვის ან გოჭისათვის? ან ქათმებისათვის? მაშინ რილასთვის მიქონ-

და მამას კოვზი, როცა არც ქათმები, არც ცხვრები და არც გოჭი არასოდეს კოვზით არა სჭამენ? ეგ კიდევ არაფერი, რომ მამას წყნიანი მიქონდა საბძელში! სტიაპუკასმა ნახა, როგორ მოათრია მამამ საბძლიდან გასისხლიანებული ჩვარი, და დედამ, შემინებულმა მიმოიხედა რა აქეთ-იქით, იმ წამსვე ჩავალო ვარცლში.

— ღმერთო, მეორე პერანგი დავხიე... და სულ სდის? — იკითხა მან.

— ცოტა შეჩერდა. იდაყვი უკვე სრულიად მოუშუშდა და დღეს მან ყველაფერი შეჭამა, და თვალებიც როგორღაც მხიარულად უბრწყინავს. ადგომა უნდოდა... მაგრამ სად უნდა წავიდეს, თუ კი მას ჩვენი ენა არც კი ესმის?!

— ღამით შეცივდება. იქნება შენი ქურათუკი წაველო მისთვის? — შეწუხებით იკითხა დედამ.

— წავუღე... ის არ ჩივა: ამბობს, თივაში თბილაო.

სტიაპუკასს სუნთქვაც კი შეეკრა და მაინც ვერასაგზეთ ვერ მიხვდა, ვის შესახებ იყო ლაპარაკი. ხან მას ეგონა, რომ ლაპარაკობდნენ ცხვარზე, ხან კი თითქოს რომელიღაც კაცის შესახებ, რომელიც დასახლდა მათ საბძელში... ყველაზე უფრო კი ეს ხბო იქნებოდა, სწორედ ის, რომლის ყიდვასაც აპირებდნენ რიმაჯიუსისაგან... მაგრამ საიდან გაჩნდა მაშინ ეს ჩვარი და რისთვის დახია დედამ უკვე მეორე პერანგი?! თუმცა ხომ შეიძლებოდა, ხბოს გაჭროდა ჩლიქი, როგორც ეს ადრე დაემართა კვიცისაც.

სტიაპუკასი თავს იმტვრევდა, ცდილობდა გამოეცნო ახალი საილუძლო, რამდენჯერმე ბიჭმა გადააწყვიტა, ასდევნებოდა მამას, როცა ის მიდიოდა საბძელში, მაგრამ მამას ის თან არ მიყავდა.

— ცხვირს მოგაყინავს, წადი სახლში!

— ერთი ბეწოღაც არ ცივა, — ამბობდა სტიაპუკასი და ფეხქვეშ უძვრებოდა მამას. ხტოდა მის გარშემო ხან ერთ და ხან მეორე ფეხზე, — მინდა ხბო ვნახო.

— გეკუბნები, შინ იჯექი... ღვედი მოგინდა?

ღვედი იყო უკანასკნელი მიჯნა, რომლის გადაბიჯებასაც სტიაპუკასი ვერ ბედავდა.

დღეს კი საბძელში მიმავალი მამა მას ისევე დაემუქრა ღვედით... მერე მოუბრუნდა შუა ეზოში გაჩერებულ სტიაპუკასს და დაუყვირა:

— აბა, სცადე და მორი საბძელთან! იქ საჩიხეს ქვეშ დიდი ხანია გელოდება ლეპონომარე.

ლეპონომარე — მთელი სოფლის ბავშვების საფრთხობელაა: დედები მისი სახელით

ამინებდნენ გაუფანრებს; ეს იყო მთლიანი ჩამოხსარი დედაკაცი წითელი, თითქოს მხარშული სახით, ის ყოველთვის დაბრუნდებოდა ხტუხაობით და პირჯვარს სწერდა: სახლშია ხეივს, ქვებს... გიჟს შესახებ ლაპარაკობდნენ, რომ მას შეუძლია სიკვდილამდე ღიტი-ხით დასტახვოს ბავშვები... რომ ტურვალაკის ველზე ერთხელ მან დაიჭირა პატარა თყუარსი და ისე დიდხანს უღიტინებდა მას, უღიტინებდა და პკოცნიდა, რომ ბიჭუნა შეძლებდა ძველადი იბოვეს. სტიაპუკასს არ ეძინოდა თხისა, ძაღლებისა, ღლავისაც კი, რომელიც ცხოვრობდა ლიულის ტბაში, მაგრამ ლეპონომარე შიშის ზარს სცემდა მას... და თუ კი მამამ სთქვა, რომ ლეპონომარე ზის საიხეს ქვეშ, მას შეიძლება დაეგვიროს. დედა — ეს სხვა საქმეა: ის ძულად ამინებს ხან ბოშებით, ხან ნიხავით, რომელიც ვითომც დასცურავს ნემხაში; სტიაპუკასმა კი კარგად იცოდა, რომ ნემხაში ნიხავები არ ბი-ბადლობენ. აი მამა არასოდეს არ ამინებს, მამასადაძე უმიზეზოდ არ ილაპარაკებს ლეპონომარეს შესახებ... მაგრამ საიდან არის გასისხლიანებული ჩვრები? იქნება ლეპონომარე დაკბიეს ძაღლებმა?

ლეპონომარე გონებრიდან არ შორდებოდა სტიაპუკასს, სიზმარიშიაც კი ხედავდა, როგორ დაფრისხავდა ის ჰაერში ქონების თავზე, თავისი შავზე შავი ძონების ფრიალით. სახითაც ის შავი იყო, როგორც ყორანი... ახლა თუ კი უხდებოდა სტიაპუკასს დაბინდებისას ეზოში გამოსვლა, ის დადიოდა დედის კალთაზე ჩაძოვიდებულთ. საშინელი ხმები საშინელი გერმანელების შესახებ, რომლებიც გახებით გლეჯდნენ ადამიანებს ენებს, ამბები ბურბინის გავრანებული ადგილიდან გერმანელთა მიერ ჩამოხრჩობილ გლეხების შესახებ, ბოლოს ლეპონომარე — ყოველი ეს შიშის ზარს სცემდა ბიჭს.

ერთხელ საღამოს, როცა ფანჯარასთან იყო მიბჯდარი, თითქოს საბძელი, სადაც ცხოვრობდა ლეპონომარე, დაიძრა ადგილიდან და თანდათან მიუახლოვდა ფანჯარას.

— დედა!... — არათავისი ხმით დაიყვირა ბიჭმა და დედისაკენ გაექანა.

— რაო, ბიჭუნა? რა მოგეჩვენა? ალბათ ჩავთვლიმა და ძილში რამე დაგესიზმრა. წადი, დაიძინე. წადი პატარავ!

სტიაპუკასი თრთოდა როგორც ვერხვის ფოთოლი. როცა ის გონს მოვიდა, რცხვენოდა ელიარებინა, რომ ყოველივე ეს მხოლოდ მოელანდა. მას არც კი უჭამია რამე; ისე დაწვა, რომ აღარ დაელოდა მამას, რომელიც იმ წუთს უნდა დაბრუნებულყო ეზოდან. გაღვიძებისას ბიჭმა ოღონაე გაახილა თვალე-



0250

ბი, მაგრამ შიშმა, რომ მას შეუძველად დაე-
სიზმრებოდა ლეპონომარე, ძილი დაუფროთ-
ხო.

დღედა იჯდა მის ფეხებთან ლოგინზე და
აკერებდა ტანსაცემელს, მამა კი, ეტყობოდა,
ეს არის, ახლა დაბრუნებულიყო, იჯდა ცეც-
ხლოთან და იხილდა ფეხსახვევებს.

— ვრეცხე მე ეს სარჩული, ვხეხე —
რამდენი სისხლი!... ვუნემსავ მას გიმნასტუ-
რას და ვფიქრობ: ვინ დაგიკერებს შენ იქ
ულრან ტყეში? ცრემლებმა თვალები დამი-
სივა, ნემსს ვეღარ ვხედავ... — ამბობდა
დღეა.

— როგორც კი გაიყინება მდინარე, ამ-
ბობს, ყინულზე გადავლით გააღწევს იქი-
თა მხარეს. მან მხოლოდ კაროლინის ნაძე-
ნარს მიაღწიოს, იქ კი თავისიანებს შეხვდე-
ბა. მიაბზო, როგორ დასჭრეს და როგორ ჩა-
მორჩა თავისიანებს. მე იგი ისევ მოვიწვიე
ქონში, ცუთხარი: უფრო მაღლე მორჩიები-მეთ-
ქი. ის კი უარზეა: არა, სჯობს უც-
ხომ მე არ მნახოსო, არ მინდა კეთილი
ადამიანების დაღუბვაო. თუ გერმანელები
გაიგებენ, რომ თქვენ მძალავთ, სოფელს გა-
დასწვავენ და ყველას, ძუძუმწოვარა ბალ-
ლებსაც კი, გაწამებენო.

— გვიხსენ და შეგვინახე, უზენაესო! —
პირჯვარი გადაიწერა დედამ და პირჯვარი
გადასწერა ქოხს.

— წამოყარა ქულიდან ვაზნები, დათვალა

და ამბობს: ანგარიშს გავასწორებთ გერმა-
ნელებთან, ყველაფრისათვის ტყვიით გადა-
ვუხსნილო, — უამბობდა მამა.

— იქნებ მან სახლში ბავშვები დასტოვა,
— სიქვა დედამ, — აი მეც ვფიქ-
რობ: პერანგს შეეუკერავ მას და თბილ
ფეხსახვევებს მივცემ.

სტიპაუკასმა ყველაფერი ვერ გაიგო მშობ-
ლების ლაპარაკიდან, მაგრამ ის, რაზედაც
მშობლები ლაპარაკობდნენ, სრულიად არ გაე-
და არც ხბოს, და არც ლეპონომარეს; ყველა-
ფრიდან სჩანდა, რომ ლაპარაკი შეეხებოდა
დაჭრილს, რომელსაც ახლა მალავდნენ თი-
ვაში. სტიპაუკასმა წარიოდგინა, როგორ
იწვა ეს კაცი, — რატომღაც იგი გავდა ვიქ-
ტორ სტულგაუსს, რომელიც ზაფხულში
ასეირნებდა მას თავისი მძალი ურმით —
თითქოს წევს უცნობი თივაზე ზოლებიანი
ჟილეტით, როგორც ერთხელ იწვა ვიქტორი,
ხოლო უცხოს ჟილეტი კი ბევრ ადგილას და-
ცხრილულია ტყვიით.

* * *

ლამით მოულოდნელად დაიჭირა ყინვა და
დილით ჭაობს გადაეკრა პირველი მოელვა-
რე ყინული. სტიპაუკასს გადაავიწყდა ყოვე-
ლივე ქვეყანაზე. ყინული სწორი და თეთრი,
როგორც ახლად მოწველილი რძე, იდგა ორ-
ბოვებში, ხეებში, მდელოებზე. წისქვილის
საგუნბარზე ბავშვები უკვე ბუზებივით ირეო-
დნენ, რომელნიც ხან შეჯგუფდებოდნენ მო-
ყრიამულე გუნდად, ხან, როგორც მუხხლო,
იფანტებოდნენ ყინულზე... შორიდან ისინი
სჩანდნენ მუხხლოს მარცვლების ოდენა. მა-
თი ციგურები მზეზე ბრწყინავდა, როგორც
ციცხლის ალის ენები.

ღელეზე წასასვლელად დედას ნება სთხო-
ვა სტიპაუკასმა.

— წადი, მხოლოდ მარტო იციგურავე, ნუ
აყვები მამასახლისის ბავშვებს, ისინი სა-
ძაგლები არიან მამასავით... მათი მამა გრო-
მისთვის გაყიდის ადამიანს, — ცააფროთხილა
დღეამ.

— მე, დედილო, მარტო ვიციგურავებ დე-
ლეს აქეთა მხარეს, ნაჯაოსთან, — დაპირ-
და ბიჭი.

სტიპაუკასმა მიიბა მარჯვენა ფეხზე
ციგურა, მარცხენა წალაზე მიაბაგრა ლურს-
მანი, რომ უკეთესად უკუებიძვა, ას-
წია მარცხენა ფეხი და უკან მოხედვაც
ვერ მოასწრო, რომ უკვე გაჩნდა ღელესთან.
პარგი იყო აქ მყუდროზე: იციგურავე რამდენ-
იც გინდა! სტიპაუკასმა ჯერ გადასწვავიბა
ეციგურავენა ნაპირთან, შემდეგ სინჯა ღე-
ლის გარდიგარდმო, ყინული არც კი იბზარე-
ბოდა. აქვე უეცრად აღმოჩნდნენ მეწისქვი-
ლის ბავშვებიც, რომელნიც ციგურებით

მოიპრინენ ქვევიდან, წისქვილის საგუბარის მხრივ. და ისე საუბრობო იყო ციგურაობა, რომ სტიაპუკასს დაავიწყდა დედის გაფრთხილება. აქ კარგი სანახაობა იყო: მამასახლისის უფროს ვაჟს პრუნცეს ორივე ფეხზე ძიება საადვილი ფოლადის ციგურები თასმეებით. ასეთები სტიაპუკასს ჯერ არასოდეს ენახა. ფეხები გაჩახუთი პრუნცე ისე სწრაფად დაჰქროდა, რომ მას ვერავინ დაეწეოდა. მას შემდეგ ეციგურავენა ცალ ფეხზედაც, და ორივე ფეხზედაც, ფეხების ძალით აუწველად, მხოლოდ მსუბუქი მოძრაობით სცვლიდა სირბილის მიმართულებას...

ძვინდა პირდაღებულ სტიაპუკასს პრუნცემ და დაუყვირა:

— გააკეთე ასე და მე შენ ციგურებს მოგცემ! — და გაირბინა რამდენიმე ნაბიჯი, უცებ მობრუნდა, გაიქროლა პირუკულმა.

პრუნცეს ორივე ძმები, რომელთაც აგრეთვე ჰქონდათ ფოლადის, მაგრამ მხოლოდ თითო ციგურა, ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ უფროსს, ხან ჩატუცქედობოდნენ, ხან პატარა წრეებს უვლიდნენ და ეძახდნენ სტიაპუკასს.

— გასრიადლი ასე და გარმონს მოგცემთ.

— სად შეუძლია მაგას ხის მორით! ისულელს, ლურსმანი ჩაურჭვია წალამი, ყინულს აფუტებს მხოლოდ. — ხიზლით წარმოსთქვა პრუნცემ, ჯიბიდან ამოიღო და პირში შეიყარა ერთი მუტა ცერცვი.

სტიაპუკასი განზე იდგა დარცხვენილი და შეჰყურებდა მამასახლისის ბავშვებს.

— მათხოვარივით დაუხვევია ფეხებზე ფეხსახვევები! — გადასძახა უფროსმა და მტრდულივით ჩაუქროლა გვერდით.

სტიაპუკასმა ვერ მოითმინა და მოუჭრა:

— მე კი მამაჩემი შენზე უფრო უკეთეს ციგურებს გამომიკვრავს.

— მამაშენმა კევრვა არც კი იცის. აი მამაჩემი გამოჰკევრავს ყველაფერს რაც გინდა, — უპასუხა უმცროსმა.

— მამაჩემს კი შეუძლიან სპილენძის სტვირიც გამოკვეროს და თოფიც, — არ უთმობდა სტიაპუკასი.

— სთხოვე მამაშენს, იქნება კაუჭი გამოგიკვეროს, რომ ცხვირი გამოიწმინდო, აგერ მთელი ვაცი გამოგჩრია, — თითქოს შოლტი გადაკრა სტიაპუკასს პრუნცემ და გვერდით ჩაქროლებიას ისე მძლავრად ჰკრა მას ხელი, რომ სტიაპუკასმა ხელები გაასავსავა, ჰაერში შეათამამა თავისი ხის ციგურა და ყინულზე გაიშლართა.

მამასახლისის ბავშვებს ხარხარით ფერდები ლსკედობოდათ. როგორც კი სტიაპუკასი ფეხზე წამოდგა, შფოთის თავებმა მას ერთხელ კიდევ ჰკრეს ხელი, მაგრამ მან ძლივს

ძლივობით მოახერხა ყინულიდან განთხება. სტიაპუკასმა გაიბერტყა თოვლი და თქვა:

— მე კი საბაგეოროდ ერთი რაზე ვეციხული ჩვენ საბძელში რაღაც გვაქვს, და უნდა გვიყავს ან იცით. ესეც თქვენს! მე რომ შეაძნეს, თქვენს, ქვეყანაზე რაც ვაბადიათ, ყველაფერს მე მომცემდით: არდანსაც, ციგურებსაც და მტრედებსაც მომცემდით... მე კი არ გეტყვით!

მამასახლისის ბავშვებმა ყურები დაცქვიტეს, მათ ცნობისმოყვარეობა სძლედა. პრუნცემ მიიქროლა სტიაპუკასთან და უკვე სრულიად გამოცვლილი ხმით შეეკითხა:

— რა გავთ თქვენ ასეთი საბძელში?

— აი მე არ გეტყვი.

— რაღას ქმინავ? გინდა, მე მოვიხსნი ციგურებს და იციგურავე... რამდენიც გინდოდეს... მთელი საათი შევიძლიახ იციგურაო, ოღონდ მითხარი.

— აი არ ვიტყვი.

— არ იტყვი?

— არ ვიტყვი.

— ერთ წყვილ ყვითელ მტრედს მოგცემ...

— სულ ერთია, არ ვიტყვი!

— სურათებიან წიგნსაც მოგცემ...

— არ ვიტყვი.

პრუნცე მისწვდა მკლავში სტიაპუკასს და დაუწყო თითების გადაგრუნა. ტკივილისაგან სტიაპუკასს თვალი დაუბნელდა. მხოლოდ ახლა, როცა დაინახა ბრაზისაგან პრუნცეს დაძახებული სახე, იგი მიხვდა, რომ სასტიკ დაუნდობელ მტერს ჩაუვარდა კლანჭებში და ვერავითარი მუდარით მისგან თავს ვერ დააღწევდა, და რომ მან ჩაიღინა რაღაც საძინელი და გამოუსწორებელი... მთელი თავისი არსებით იგრძნო, რომ მას არ უნდა ეთქვა, რაც თქვა. მას წარმოუდგა თივანზე მწოლიარე კაცი, შემდეგ ბურბინის ცვლზე ჩამოხრჩობილი გლეხები, და მისი გული შიმში შეიბყრო.

— იტყვი? — ყვიროდა პრუნცე.

წამოაქცია მიწაზე სტიაპუკასი, უგრესად და მას ხელებს და ისე დააწვა მუხლის თავებით მკერდზე, რომ სტიაპუკასს სუნთქვა შეეკრა.

სტიაპუკასი მიხვდა, რომ მეტს ვეღარ აიტანდა და აცრემლებულმა წამოილულულა:

— გამიშვი, ვიტყვი!

იგი შეიბყრო სურვილმა ერთი წამით განთავისუფლებულიყო და მერე თუნდაც მომკვდარიყო.

— იქ კურდღელია, — წარმოსთქვა სტიაპუკასმა პირველი, რაც მას აზრად მოუვიდა. და ამან ის გადაარჩინა.

— როგორი კურდღელი: ცოცხალი თუ მკვდარი? — სწრაფად იკითხა პრუნცემ.

— მკვდარი, — უპასუხა სტიაპუკასმა, რომელმაც ძლივს მოისახრა, რასაც ამბობდა.

პრუნცე წამოდგა, ჩაიყო ჯვებში ხელი, ამოიღო იქიდან ერთი მუჭა ცერცვი და პირში ჩაიყარა. ის შეჰყურებდა სტიაპუკასს და ცერცვს ღებდა, ღებდა და შეჰყურებდა. ძისი ორივე ძმა მის გვერდით იდგა...

— გასაგებია! — თავმომწონედ წარმოსთქვა ბოლოს პრუნცემ, — გასაგებია, ვინც გასწმინდა ბუჩქებში ჩვენი ხათვანები. ეს შენ.

— მე... — უბასუხა სტიაპუკასმა. მას სრულიად არ ეშინოდა შურისძიებისა, რომელიც მოელოდა. თავის თავზე იღებდა გამოგონილ დანაშაულს, ოღონდაც შეენახა საბძლის დიდი საიდუმლო.

— რამდენი კურდღელი იბოვნე შენ ხათვანებში? — ხელახლად ჰკითხა პრუნცემ, რომელიც თავიდან ფეხებამდე დამუქრებით ათვალეირებდა სტიაპუკასს.

— ერთი, — დინჯად უბასუხა ბიჭმა და ნელა აიფარა იდაყვი სახეზე.

— სცრუობ, ქურდო! — დაუყვირა პრუნცემ და ისე შემოჰკრა მუშტი სტიაპუკასს გულისკოვზში, რომ ბიჭმა ამოიოხრა, მოხრილმა ფეხზე იტაცა ხელი, მაგრამ არ დაცემულა, პრუნცეს მეორე დარტყმა მას ნიკაპში მოხვდა და ახლა კი სტიაპუკასი დაეცა და კეფა დაჰკრა ყინულს. ბიჭს მოეჩვენა, თითქოს ვიღაცამ მზეს ცხვირსახოცი გადააფარა და სრულიად დაბნელდა.

სტიაპუკასი გონს მოვიდა, როცა უკვე მის გარშემო აღარავინ იყო... ციგურებით დაკაწრული ყინული ისე ბრწყინავდა, რომ დასანანი იყო სანახავად. ბიჭმა წამოსწია თავი და იგრძნო მოუთმენელი ტკივილი. პირიდან შედრევანად სდიოდა სისხლი. ხედავდა მხოლოდ ცალი თვალით. სტიაპუკასმა სცადა წამომდგარიყო, მაგრამ ხელახლად დაეცა იგი, ხმაშაღლა და მწარედ აქვითინდა. წარმოიდგინა, რომ ის ასევე მოკვდება აქ, ყინულზე და რომ ყორნები ამოჰკორტნიან მას თვალებს. ამან კი ღონე შემატა სტიაპუკასს და განოხდა.

როგორ მიაღწია ბიჭმა სახლამდე, და როგორ შეხვდა მას დედა, აღარ ახსოვდა, მხო-



ლოდ, როცა მას ხდიდნენ და უხვევდნენ, იგი სულ იმეორებდა:

— მე ვციგურაობდი, დიდილო, მე ვციგურაობდი, ვციგურაობდი და...


— წაიქეცი, ჩემო პატარავ... — უკარნახა დედამ.

— და წავიქეცი, — გაუხარდა სტიაპუკასს, რომ მას უკარნახეს ეს სიტყვა.

როცა სტიაპუკასი განიკურნა და პირველად მივიდა თანჯარასთან, მან დაინახა, რომ არა მარტო პატარა ღელუს, არამედ ნემანსაც გადაჰკვროდა ყინული. იგი მიბრუნდა და დაკვირვებით შეხედა მამას და მერე დედას. მაგრამ რაკილა საიდუმლოა, — მაშასადამე საიდუმლოა, და სტიაპუკასმა აღარ დაუწყო მშობლებს გამოკითხვა. მხოლოდ მამას ახლა უკვე აღარაფერი მიქონდა ხოლმე საბძელში.

თარგმანი რუსულიდან
ნიკ. თარხნიშვილისა





რუსეთი — ორთქლმავლის სამშობლო

მხარეებისა და ქვეყნების ერთმანეთთან დასაკავშირებლად კაცობრიობას უდიდეს სამსახურს უწევს რკინიგზა. ყოველდღიურად მილიონობით მგზავრი გადაყავს და ასეული ათასობით ტონა ტვირთი გადააქვს მატარებლებს. დედამიწის თითქმის ყოველ დასახლებულ კუთხეში არის გაყვანილი რკინიგზა. ამ მხრივ აღსანიშნავია საბჭოთა კავშირი — იგი უძლიერესი სარკინიგზო ქვეყანაა მსოფლიოში.

იყო დრო, როცა ადამიანები ფეხითა და ცხენით მოგზაურობდნენ, როცა ტვირთი ურმებით გადაქონდათ. იმ დროის ადამიანები ოცნებობდნენ ისეთ მანქანაზე, რომელიც თავისით მოძრაობდა მიწაზე და რომელიც ცხენზე უფრო ჩქარა გადაიყვანდა მგზავრებს და გადაიტანდა უფრო მეტ ტვირთს, ვიდრე ურემი. მრავალმა ასეულმა წელმა განვლო, სანამ ორთქლმავალს გამოიგონებდნენ. ორთქლმავლის შორეული წინამორბედი „თვითმარბენალი ეტლი“, რომელიც ვააკეთა რუსმა გამოიგონებელმა ლეონტი შამშურენკოვმა. ეს ეტლი მოძრაობდა ბერკეტებზე ხელებისა და ფეხების დაწოლით.

ორთქლს რომ ძალა ჰქონდა, ადამიანებმა ადრე — ორთქლმავლის გამოგონებამდე იცოდნენ, მაგრამ მათი ოცნება იყო ამ ძალის დამორჩილება. ბევრ ქვეყანაში გამოიგონებლები ცდილობდნენ აეგოთ ორთქლის ძრავა.

და აი 1769 წელს მთელ მსოფლიოს მოეფინა ახალი ამბავი: „ინგლისელმა ჯემს უატმა გამოიგონა ორთქლის მანქანა“.

ადამიანები ხარობდნენ, ულოცავდნენ ერთმანეთს ახალი საუკუნის — ტექნიკის საუკუნის დადგომას.

მხოლოდ რუსეთში, ციმბირის პატარა ქალაქ ბარნაულში არავის ფაკვირვებია ინგლისელი გამოიგონებლის აღმოჩენა. ბარნაულში უკვე სამი წელიწადია მუშაობდა „ცეცხლისმფრქვეველი მანქანა“, რომელიც ააგო ჯარისკაცის შვილმა ივანე პოლზუნოვმა..

პოლზუნოვის ორთქლის მანქანა აგებული იყო სპილენძის სადნობ ქარხანაში. მანქანაზე მოწყობილი იყო საბერველი, რომელიც აღვივებდა ლუმელს.

ორ წელს აგებდა ივანე პოლზუნოვი თავის მანქანას. ხუთი წლით დაასწრო უატს, მაგრამ ეს არავის გაუხმაურებია და პოლზუნოვის სახელი მიიჩქმალა. მთელ მსოფლიოში ორთქლის მანქანის გამოიგონებლად ჯემს უატი ჩათვალეს და არა პოლზუნოვი.

მეფის მთავრობამ არ იზრუნა რუსი გამოიგონებლის ასე უხმოდ დაკარგულ გენი-ალურ აღმოჩენაზე.

პირველი ორთქლმავალი და პირველი რკინიგზა რუსეთში ააგო ნიკეიერმა გამოიგონებელმა ექვთიმე ჩერეპანოვმა.

ის იყო მებატონის ყმა. არასოდეს არ ენახა ინგლისელი ინჟინერი გეორგ სტეფენსონი და არაფერი იცოდა მისი მუშაობის შესახებ.

ე. ჩერეპანოვი მრავალი წლის განმავლობაში ოცნებობდა აეგო ისეთი მანქანა, რომელიც თავისით ფაირბენდა მიწაზე.

ბოლოს, როცა ჩერებანოვმა ყველაფერი მოიფიქრა, გადაწყვიტა აეგო თავისი მანქანა.

და მართლაც ე. ჩერებანოვმა, გარეშე პირთა დაუხმარებლად, ააგო ორთქლმავალი, რომელსაც „ხმელეთის გემი“ უწოდა. ეს მოხდა დიდი ხნის წინათ, 1834 წელს.

პირველი ორთქლმავალი 15 კილომეტრს გარბოდა საათში და თან ეწეოდა ათასი ფუთი ნახშირით დატვირთულ ვაგონებს.

ე. ჩერებანოვის „ხმელეთის გემი“ ბევრად აღემატებოდა იმ დროისათვის საუკეთესო ლოკომოტივს — „უფშუნას“, რომელიც აგებული იყო ინგლისელი სტეფენსონის მიერ.

მაგრამ გენიალური გამომგონებელი ე. ჩერებანოვი ძალიან დიდხანს მივიწყებული იყო და მისი გამოგონება არ იქნა გამოყენებული რუსეთის ტრანსპორტის განვითარების საქმეში. მშინდელი რუსეთის მმართველები ქედს იხრიდნენ ყოველგვარი უცხოურის წინაშე და არ სურდათ შეემჩნიათ გენიალური რუსი ადამიანები, რომლებიც წინ სწევდნენ მსოფლიო მეცნიერებასა და ტექნიკას. ბევრი ღირსშესანიშნავი გამოგონება დაიღუპა ბნელი და უკულტურო მემამულეების, მექარხნეებისა და მოხლეჩების წყალობით. ასე, მაგალითად, დაიწყებდა მიეცა გამომგონებელი ინჟინერი ფროლოვი, რომელმაც, 17 წლით ადრე, ვიდრე ამერიკაში და


13 წლით ადრე, ვიდრე საფრანგეთში, ააგო სალიანდაგო გზა ცხენის წევისათვის.

საბჭოთა ხელისუფლებამ ყოველგვარი ეგვიპტეობა შექმნა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის აყვავებისათვის. გამომგონებლობას ფართო გზა მიეცა. ათეულობით გამოჩინდა ადამიანები, რომელთაც ორთქლმავალ-მშენებლობის მეცნიერებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

ახლა საბჭოთა კავშირი ითვლება უძლიერეს სარკინიგზო ქვეყანად მსოფლიოში. იგი დიდი ხანია განთქმულია თავისი კარგი ორთქლმავლებით. მთელ ევროპაში საუკეთესოდ ითვლება საბჭოთა ორთქლმავალი „Л“ — აგებული ქალაქ კოლომნის ორთქლმავალ-მშენებელ ქარხანაში. ეს ორთქლმავალი ავითარებს 80 კილომეტრ სიჩქარეს საათში და თავისუფლად ეწევა 120 საბაგრო ვაგონს, რაც 2.500 ტონა ტვირთს შეადგენს.

ჩვენი დიდი სამშობლოს რკინიგზის ქსელის ცალკეულ უბანზე მიმოჰჭრიან ელექტრომავლები. ელექტრომავლების გამოყენებას ხელს უწყობს რაფი ელექტროენერჯია, რომლითაც დღითიდღე უხვი ხდება ჩვენი ქვეყანა.


ტექნიკა წინ მიდის. გაივლის დრო და საბჭოთა ადამიანები ააგებენ კიდევ უფრო ძლიერ ორთქლმავლებსა და ელექტრომავლებს და გაიყვანენ ათასობით კილომეტრ რკინიგზის ახალ ხაზებს.



საბავშვო მატარებელი თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და რასვენების პარკში.

საქართველოს ტურნესა

მერცხაღი



ვინ არ ეტრფის ჩვენს მხარეში
გაზაფხულის მახარობელს,
ვინ არ უსმენს სასოებით
მის საამურ საგალობელს!

ვის არ უყვარს მოკიკიკიკე
თეთრგულა და მაკრატელა,
სანამ ჩვენთან ეოვიდოდა,
რამდენი ზღვა გადმოთელა!

ბუდეს იგებს აივანზე,
ჩვენც მის ბუდეს არას ვერჩით,
შემოდგომით ეშურება
აფრიკას და არაბეთში.

ცივ ზამთარში ობლად რჩება
მისი მშვიდი საბუდარი,
მას კი როდი ავიწყდება
მყუდრო კუთხე საკუთარი.

როდი სცდება, როდი ჰკარგავს
თავის გზას და დასამხარს!
გაზაფხულზე უბრუნდება
სწორედ თავის ნასახლარსა.

მოფრინდება, რომ კიკიკიკით
ავვიმღეროს სახლის კერი,
რომ ჩვენს მთა-ველს მოაშოროს
ქია-ლუა, ქვეყნის მტერი.

ქოტი



თუმცა დღით ვერ იხედება,
რუმცა ღამით მხილველია,
მაინც ქოტი საძაგელი
მავნებელი ფრინველია.

ღამით დაჰქრის სანადიროდ,
მზეს ვერ ჰხედავს თავის ღღეში;
ზარნაშოსაც უწოდებენ
ჩვენი ქვეყნის ზოგ კუთხეში.

სიბნელეში თავზე ესხმის
მიძინებულთ. ტყეში მცხოვრებთ,
და მხეცურად ანადგურებს
ფრინველებს და ძუძუმწოვრებს.

ანადგურებს მძინარ ხოხობს,
ანადგურებს ციყვს და კვერნას,
ამიტომაც მონადირეს
არვინ უშლის ქოტის ღვენას.

ბუს არა ჰგავს, თუმცა ესეც
მარტო ღამით მხილველია,
ბუ მტერია მავნებლების,
ის კეთილი ფრინველია.

ზარნაშო კი ბუნებაში
გაჩენილა მართლა ჭირად;
ბუდესაც კი, საძაგელი,
სხვა ფრინველებს ართმევს ხშირად.

კაკაბი



წითელ ფერით, ნისკარტით,
წითლად მორთულ საკაბით
კაკასიის ქედებზე
ცხოვრობს ბევრი კაკაბი.


უყვარს მთები კლდოვანი,
ულრან ტყეს ერიდება.
ნადირობის შედეგად
ეს ფრინველიც მცირდება.

მიტომ არის—უვლიან
კაკაბს— მთების მშვენებას;
მთაწმინდაზეც იწყებენ
ახლა მის მოშენებას.

მარცვლეულით საზრდოობს,
მწერსაც მრავლად იწირავს,
ჩეკავს თავის ბუდეში
თოთხმეტამდე წიწილას.

ტანზე კვერცხის ნაჭუჭი
მყის თუ ვერ მოიცილა,
ნაჭუჭმიწებებული
მაინც დარბის წიწილა.

მაინც ხარობს სიცოცხლით.
წითლად მორთულ საკაბით;
არ დახოცოთ— „ფერდობში
მოცქრიალე კაკაბი.“



(გადმოკეთებული სეტონ ტომპსონიდან)

ის ველი მესაქონლეობის საუკეთესო რაი-
ონად ითვლებოდა; წიყიერი ბალახი, კარგი
წყალსასმელი, სწირი ტალღები... ტალღებს სიც-
ხის დროს თავს აფარებდა საქონელი.

სადაც ბევრია საქონელი, იქ ბევრია მგე-
ლიც. ადგილობრივმა მეჯოგეებმა მიიხრეს,
რომ მგლების ხროვას მეთაურობს უზარმა-
ზარი მგელი, უჩვეულო ტყუისა და ღონის
პატორნი.

მეჯოგეებმა იმ მგელს სახელად შეარქვეს
„ლობო“.

გადავწყვიტე ლობოზე მენადირა.
მე და ორი მონადირე — გიორგი და თეი-
მურაზი გვემგზავრეთ ველისაკენ, თან რამ-
დენიმე ხაფანგი წავიღეთ.

საცხოვრებლად დავბინავდით ძველ, უბატ-
რონოდ მიტოვებულ ქოხში.

ლობომ იცოდა: ადამიანს თან დააქვს საში-
ნელი, მომაკვდინებელი იარაღი, რომლის წი-
ნაღმდეგ იგი უძლურია. დღისით ბორცვებ-
ში იმალებოდა. სად, რა ადგილას იმალე-
ბოდა, ვერ გავიგეთ. ღამდამობით კი გამოდი-
ოდა.

ლობოს ყმუილი სხვა მგლების ყმუილზე
უფრო ხმაბალაი იყო. და როდესაც მისი
ყმუილი გაისმოდა უფსკრულის თავზე, გი-
ორგი იტყოდა:

—აი, ის! სადაც არ უნდა გამოჩნდეს, მე ვი-
ცნობ მას. ეს ლობოა.

როცა დავრწმუნდი — მგელს თოფით ვე-
რაფერს დავაკლებდი, გავიფიქრე: მოწამლე-
ლი სხორციით მოვიტყუებ და დავიჭერ-მეთქი.
მაგრამ, ლობოს აგრე ადვილად ვერ მოატ-

ყუებ. პირს არ ახლებს მოწამლულ სხორცს
და თავის სროვიდან არც ერთ მგელს უფლე-
ბას არ მისცემს დარჩეს მოტყუებული. ამაში
ღრმად დავრწმუნდი.

ჩემს თავს ვამშვიდებდი იმით, რომ მაქვს
ახალი მოწყობილობა და შესაძლოა ამით და-
ვიჭირო ლობო ერთი თვის შემდეგ იმედი
გამიცრუვდა. მგელი ზიზლით ფანტავდა მო-
სატყუებელ საგნებს. ამას რომ ლობო ჩადი-
ოდა, დამარწმუნა უზარმაზარმა ნაფეხურმა,
რომილიც დიდი იყო სხვა მგლების ნაფე-
ხურზე.

ძიულბებული გავხდი ნადირობის ამ ხერხ-
ზედაც ხელი ამიღო. მაგრამ უიმედობას არ
შეეკუყრივარ. მქონდა საფანგები მძლავრი
ორმაგი ზამბარით. საფანგები დავაგე ბილი-
კებზე და ღარტაფების გზაჯვარედინებზე.
ხბოს სისხლი წავცხე ხაფანგებს, ჯაჭვებს,
სისხლი წავცხე აგრეთვე ჩემი ჩექმის ლან-
ჩებსა და ტყავის ხელთათმანებს. შიშველი
ხელით არაფერს შევხებოვარ.

ყველაფერი კარგად შევნიღბე, ძნელად თუ
ვინმე მიხვდებოდა, რომ იქ საფანგები იყო
დაგებული. ლობომ მყისვე იგრძნო საშიშ-
როება. მგელი ფრთხილად შეუღდა თა-
თიბით მიწის ამოხრას. შემთხვევით აღმოა-
ჩინა ჯაჭვი. მან უკვე იცოდა — სად იყო ხა-
ფანგი. საფანგი გადააბრუნა და ძროხების
ჯოგისაკენ წავიდა, პირი ჩაიკეპარუნა ერთ-
ერთი საუკეთესო ძროხის სხორციით.

ასეთ რამეებს სწირად ჩადიოდა ლობო.
ბოლოს და ბოლოს შევნიშნე: როცა მოდიო-
და, ყოველთვის შეჩერდებოდა, გაიგებდა ქა-

რის მიმართულებას, მერე ბილიკიდან გადა-
უხვევდა და ქარის მიმართულებით წავიდო-
და.

ბილიკების ორთავე მხარეზე დავაგე სამ-
სამი ხაფანგი, შუაში კიდევ ერთი. ასე ვიფარ-
აუდე: მგელი როგორც კი იგრძნობს საშიშ-
როებას, სწრაფად მიბრუნდება ქარის მიმარ-
თულებით და უეჭველად გაემბეზა რომელი-
მე გვერდითი ხაფანგში.

მეორე დამეს ლობო მოვიდა. ბილიკიდან
არ გადაუხვევია. ფრთხილად დაიხია თავისა-
ვე ნაკვალევზე, სანამ საშიშ ადგილს არ მო-
შორდა. შემდეგ ხაფანგებს იარედან შემოუა-
რა, უკანა თათებით დაიწყო მიწის თხრა.
როცა კუნძები და ქეები ჰაერში აცვივდნენ
და ხაფანგები დაეშვა, ლობომ გზა განაგრძო
ჯოჯისაკენ და მიირთვა კიდევ ძროხის ხორ-
ცი.

უკვე აღარ ვიცოდი რა ხერხისათვის მი-
მეშართნა. სრული ოთხი თვე ვებრძოდი
მგელს, მაგრამ უშედეგოდ.

ერთხელ ერთმა მეჯოგემ მითხრა: ხროვას
შეემატა კიდევ ერთი მგელი, პატარა და საე-
სებით თერთი. მეჯოგეები ფიქრობენ. რომ
ეს არის ძუ მგელი და მას სახელად უწოდეს
დედოფალა.

გულმოდგინედ ვანგაგრძობდი მგლის ნა-
ფესურების შესწავლას. ხაფანგების მახლობ-
ლოდ, მეთაურის ნაფესურის წინ, ხშირად
ვნახულობდი პატარა თათების კვალს.

ჩქარა, ჩემთვის ყველაფერი გამოირკვა.
ერთერთმა ჩემმა თანამონადირემ სთქვა:

— დღეს ვნახე მთელი ხრო. პატარა თა-
ხიდი, რომელსაც არ ეშინიან მეთაურის,
არის თეთრი მგელი, დედოფალა.

— აი, რაში ყოფილა საქმე! — სიხარუ-
ლით გავიფიქრე. — ახლა კი ვიცი, ჩემო ლო-
ბო. როგორ მოვიქცე.

ჩოხთან ხბო დავკალი და იქვე დავტოვე
მგლების მისატყუებლად. დაკლული ხბოს
გარშემო ოთხი ხაფანგი დავდგი (სიფრთხი-
ლის ყველა ზომების დაცვით). ხბოს მოვაჭი-
რი თავი, ვადავათრიე, რა იქაც ორი ხაფან-
გი დავდგი როგორც კი შემეძლო. ყველაფე-
რი ისე გამოიყურებოდა, როგორც წი-
ნათ. მერე ავიღე იმ ხანში ჩემს მიერ
მოკლული მინდვრის მგლის თათი და ხბოს
თავის გარშემო გავაკეთე მისი ანაბეჭდები.

გათენებისას მივედი იქ, ნაკვალევს დავა-
ვირდი. ლობო მიტყუოებინა ახალი ხორცის
სუფს. ამაში გუჩის შიკანა არ შეიძლებოდა.
ლობოს გარშემო შემოუვლია დაკლულ სა-
ჩონგლისათვის. ყოველთვის ფრთხილს. აქაც
სიფრთხილედ გამოიჩინა, ხაფანგებთან ახ-
ლოს არ მისულა. აი მას ამოუჩინია ხაფანგი.
მგლების ხროს უკან დაუხვევია. ერთის გარდა,

ყველა დამორჩილებია მეთაურს. ის ერთი
ძუ მგელი უნდა ყოფილიყო. ძუ მგელს ხბოს
თავთან მიუბრუნია, ფეხი ხაფანგში შევიდა,
ნა, დაწეწილი ფეხით წასულა და ხბოს
თავი წაუთრევია.

ცხენს შემოვახტი, გიორგი თავისას შეაჯ-
და და მგლების ნაკვალევს სწრაფად გავყე-
ვით.

ერთი კილომეტრიც კი არ გვექონდა გავ-
ლილი, ძუ მგელი რომ დავინახეთ. მასთან
იყო ლობოც, გვერდით მისდევდა, გაჭირვე-
ბის ყამს არ მიუტოვებია მეგობარი.

მაგრამ, როცა ლობომ დაინახა, ვუახლოვ-
დებოდი, ციცაბო ფერდობით მთისაკენ გაე-
მართა. ლობო უხმობდა ძუ მგელს. ძუ მგე-
ლი მისდევდა, ხბოს თავს მიათრევდა. ხბოს
თავი რქებით ლოდის წამოდებდა. შეჩერდა
ძუ მგელი, ჩვენსკენ მოტრიალდა. სწორედ
ამ დროს მზეც ამოვიდა და შუქი მოჭვინა
დედოფალას. მხოლოდ ახლა ვიხილე დედო-
ფალა მთელი თავისი სილამაზით. იგი საესე-
ბით თეთრი იყო, როგორც თოვლი. ამოვიღე
ჩემი ფოტო-აპარატი და სურათი გადავუღე.
მერე მარყუჟი ვისროლე, კისერზე ჩამოვაც-
ვი. ცხენები შემოვატრიალეთ, ბაწარი დაიჭი-
მა და დედოფალა ვაგათრიე.

მკვდარი დედოფალა უნაგირის გარდი-
გარდმო დავდე და ცხენი ჩოხისაკენ ვაგაქანე.

მთელი დღის განმავლობაში კლდის მწვერ-
ვლიდან ისმოდა ლობოს ხმა: დედოფალას
უხმობდა... ახლა ის არ იყო შემშართებელი
ძახილი მეთაურისა. მის ყმუილში რაღაც
დიდი, დაუსრულებელი სივება იყო.

და როცა დაღამდა, ლობო მთიდან დაეშვა,
მივიდა იმ ადგილზე, სადაც დაიღუპა დედო-
ფალა და მორთო ნაღვლიანი ყმუილი. ვგრ-
ძნობდი, ყველაფერი იცოდა.

— საოცარია, — სთქვა გიორგიმ. — ვერ
წარმოვიდგენდი, რომ მგელს შეუძლია ასე
იღარდოს.



ღამის ათი საათი იქნებოდა, ძალი ქობის
კართან მოიჭრა და აყეფდა. კარი გავულე,
რომ ქობში შეძრამევა, თავრამ ძალი იაქრა.
ლობოს იქვე, ქობთან მიეხიჩო ძალი.

ლობო იმ ღამეს მარტო მოვიდა და იქვე-
ოდა არაფრთხილად, რაც მას არა სჩვეოდა.

სამხა კაცმა ძიელ დღეს ვიძუშავეთ, ყო-
ველ ბილიკზე ოთხ-ოთხი ხაფახგი დავდგით.
ოცა ყველაფერი შევნიღბეთ, ხაფახგითაჲ
დავლოვე დედოფალას თათის ანაბეჭდები.

ფოთე დღეს, დილით ხეობისკენ გავეძ-
გზავრე. მუოლარე ლობო დავინახე. ლობო
წააყუდა დედოფალას კვალს და ალბათ ფაი-
ფიოა, რომ დედოფალა აქვე სადღაც აოის,
რომ ჩქარა ნახავს მეგობარს.

იჭვა ყოვლად უფეო, ჯაჭვებში გახლარ-
თული. იგი ხაფახგს დაეტყვევებოდა.

იქვე სფოთავდა და ილადა საქონელი,
თითქოს ხაროდისეხ დაუძიხებელი ძტორს
დაღუბვის გამო, თავრამ, ძველთაჲ ახლოს
სისვლა ვეოც ეოთს ვერ იაუბედა.

ლობო დაძინახა თუ აოა, დაიყმუგლა,
თითქოს თავის ხროვას უხმობდა: თოთხიარე-
ბითო.

არც ერთი მგელი არ გამოჩენილა.

ძაიხს ლობო წაძოიწია ჩემსკენ. მაგრამ
ხაფახგებმა და ჯაჭვებმა შებოროკეს და და-
უილუოებული უფეოდ დავეძა ძიწახე.

— ჰეი, ძველო ყაჩაღო, შესანიშნავი ძხე-
ცი ხარ, ძეცოდები, მაგრამ არ შეთიძლია
სხვახაირად თოვქცე.

ძარყუფი მოვიქსიე.

ძარყუფი ჯეო კიდეჲ არ იყო მგლის კისერ-
ზე დასეებული, რომ ძველმა კბილებით და-
იჭირა და გადახრა იგი. ძერე შეძომხენდა,
თითქოს შეუბნებოდა: აბა, კიდეჲ სცადე რა-
მეო.

„თოფი ვესროლო? არა“.

დავბოუხდი. ქობიდან მეორე მარყუფი წა-
მოვიღე.

სქელი ჯოხი მივუგდე მგელს. და სანამ
პირიდან გამოავდებდა ჯოხს, მარყუფი კი-
სერზე ჩაძოვაცივი. ცხენი გავაჭენე, მარყუფი
დაიჭიმა... ლობოს თვალები ებინდებოდა.

ცხენი შევაჩერე, მინდოდა ცოცხალი წამე-
ყვანა ლობო.

მგლის ყებეს შორის ჯოხი მოვაქციე და
პირი ბაწრით შევეუკარი.

ახლა ლობო განიარაღებული იყო.

წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტა. ჩემ-
თვის ერთხელაც კი არ შემოუხედავს. სად-
ღაც იყურებოდა, თითქოს ვრცელ ველზე
მარტო იმყოფებოდა.

მალე ბაწრით შევეუკარი ფეხებიც და უნა-
ვირზე მოვათავსე.

შინ კისერზე საყელო წამოვაცივი და მინ-
დორში ჯაჭვით დავაბი. მის მახლობლად



ხაფანგები დავაგე, მეგონა — თავის ამხანა-
გებს მოიხმობდა. შევეციდი, ლობომ მხოლოდ
ერთხელ უხმო, ისიც დახმარების აღმოსა-
ჩენად.

ვაშოვუტანე ხორცი და წყალი, ვიცოდი
მშიერი იყო, წყალი სწყუროდა. არც კი და-
უხედნია. ოღნაჲ ვუბიძგე, რომ მისი ყურად-
ღება მიმეპყრა. ზურგი შემაქცია. იყურებო-
და იქით, სადაც ხეობა მთებს ებჯინება და
შემდეგ კი ველია გაჭიმული, მისი ველი და
მთები, სადაც ის დიდხანს მეფობდა.

იჭვა მზის ჩასვლამდის, ხეობისკენ იყუ-
რებოდა. დილით ლობოსაკენ გავეშურე. თა-
ვი თათებზე დაესვენებინა, მისი თვალები
ხეობისკენ იყვნენ კვლავ მიპყრობილი, მაგ-
რამ სიცოცხლის ნაპერწკალი ჩამქრალიყო
შიგ — ლობო მომკვდარიყო.

ახლობელ მთიდან ჩვენამდე მოაღწია
მგლების ხმაგამულმა, ნაღვლიანმა ყმუილ-
მა. შესაძლოა მაშინ ყმუოდნენ შიმშილის
გამო, მაგრამ რატომღაც მომეჩენა, რომ
ემშვიდობებოდნენ ლობოს.


ლობო დედოფალას გვერდით დავდე.

გიორგი დიდხანს, ნაღვლიანად დაჰყუ-
რებდა ლობოს. ძერე ჩაილაპარაკა:

— შენ სულ ეძებდი მას. აი, ახლა თქვენ
კვლავ ერთად ხართ.

ანდრო ლომიძე

ნახატები პ. გიგოლაშვილისა



სურო და თხმელა

ერთხელ სურო თხმელის ახლოს
 ამოცოცდა, ამოვიდა,
 სურო ისე ვერ იცხოვრებს,
 თუ სხვა ხეზე არ ავიდა;
 თვით არ ძალუძს საზრდოს შოვნა,
 ადათი აქვს ერთი სუროს:
 სხვა ხეს უნდა შემოეჭდოს,
 საზრდო წვენი ამოწუროს.
 და ამგვარად მუქთახორამ
 საზრდოს ძებნას მიჰყო ხელი,
 ნახა თხმელა და მის ძირში
 მიათრია ნელა წელი.
 და შესძახა: „როგორც იქნა,
 შენი ნახვა მეღირსაო,
 სამეგობროდ მოსული ვარ,
 ჩამომხედე აქ, ძირსაო;
 მართალია, ლამაზი ხარ,
 გშვენის ლურჯი ფოთლებიო,
 მაგრამ მე თუ მიმეგობრებ,
 უფრო ტურფა იქნებიო!
 ხაძთარ-ხაფხულ ტანს ჩაგაცმევ
 ლურჯფოთლიან სამოსელსო,
 ქარბუქისგან დაგიფარავ,
 თუ გამიწვდი ძმურად ხელსო!“
 თხმელამ უთხრა: „ამობრძანდი,
 მესმის, ამბობ სიტყვებს წრფელსო,
 თუ სამოყვროდ მოსული ხარ,
 მეც სამოყვროდ გიწვდი ხელსო!“
 და სუროსაც ეს უნდოდა,
 ამ თანხმობით გაიხარა,
 მოეხვია ირგვლივ თხმელას
 და ფოთლებით სულ დაფარა.
 თხმელა ერთხანს ვერას გრძნობდა,
 მაგრამ მაშინ, როცა სურო
 გაძლიერდა, ხე დასუსტდა,
 გამოაჩნდა ქვეშ ფულურო;
 იგრძნო თვისი შეცდომა და
 შებრალებას სუროს სთხოვდა,
 მაგრამ სურო უფრო მაგრად
 ეხვეოდა, საზრდოს სწოვდა!

ილია სიხაკალიძე



მ. გვირგიძე

ნახატები ირ. რაჭამიძისა

ბურთობრივი ელვა

ზაფხულის დღეა. ცხელა. ალმური ასდის არეპარეს. წითელყელსახვევიანი და ჩალის ქუდებიანი პიონერ-მოსწავლეები ექსკურსიიდან ბრუნდებიან სოფლის მარაგზით. გაცხოველებულ საუბარში ზოგჯერ შეიჭრება-ხოლმე გულიანი სიცილ-კისკისი. ავერ ერთმა პიონერმა სიმღერა წამოიწყო. ბავშვთა წკრიალა, შეწყობილი ხმები მოეფინა მიდაბოს. პიონერულ ბანაკამდე სამიოდე კილომეტრი იყო დარჩენილი. უეცრად მოიკუბრა, მძიმე ღრუბელი ჩამოწვა. მოვარდნილმა ქარმა გზაზე კორიანტელი ააყენა. გავიდა რამდენიმე წუთი და წვიმის მსხვილი წვეთები დაეცა მიწას, მტვერში შავი ლაქები დაამჩნია. მალე წვიმა გაძლიერდა. პიონერებმა ყრიამულით მიამურეს მახლობელ ხეებს. დაიწყო თავსხმა, წამოვიდა კოკისპირული წვიმა. უეცრად ტყვიასავით ჩამოწოლილ ცაში გაიქროლა კლაკნილმა ცეცხლოვანმა ზოლმა... ელვა!

პიონერხელმძღვანელმა მურმანმა უმაღლიადაა პიონერებს:

— ბავშვებო, მომყევით სირბილით, მოსცილდით ხეებს! — და რამდენიმე მძლავრი ნახტომით გამოვარდა მინდორში და შესდგა. პიონერები თვალის დახამხამებაში მასთან გაჩნდნენ. ორი, სამი წამი და, დასჭექა, დაიგრუხუნა, თითქოს შორიასლოს ქვეშეხებმა იგრიალეს. სადღაც დაეცა მესი.

— ვესმით, ბავშვებო! ამ დროს ხის ქვეშ

დგომა არ შეიძლება! სჯობს დაესველდეთ, ვიდრე მესი დაგვეცეს!

— ახლა ვანა არ არის საშიში მესი? — იკითხა პიონერმა გიზომ. — ხეებთან ხომ რამდენიმე ნაბიჯზე ვართ!

— საქმე ისაა, ბავშვებო, — თქვა მურმანმა, — რომ თუ ჭექა-ქუხილმა გზაში მოგასწროთ, არ შეიძლება არც ხის ქვეშ თავის შეფარება, არც მალლობ ადგილზე, მაგალითად, ბორცვსა და მთაზე დგომა და, ჩემო გიზო, არც ტრიალ მინდორზე. ყველაზე უკეთესია დიდი ქვებისა ან ხეებისაგან 8-10 მეტრის დაშორებით დგომა, როგორც ჩვენ ვართ ახლა, ან ბორცვის კალთებზე ამოღრუბულ ადგილებში უნდა შევიფაროთ თავი, ანდა, თუ შესაძლებლობა არის, უნდა გავჩერდეთ ორი ხის შუა, რომლებიც ერთი მეორისაგან 15-25 მეტრით არიან დაშორებული....

ამ საუბრის განმავლობაში კიდევ რამდენჯერმე გაიელვა, დაიჭექა, დაიგრუხუნა და წვიმა თანდათან შენელდა. ჭექა-ქუხილმა გადაიარა.

— გადაილო, ბავშვებო! გავუდგეთ გზას, — თქვა პიონერხელმძღვანელმა. — ცოტა კი დაესველდით, მაგრამ არა გვიშავს რა!

— ამხანაგებო, შეხედეთ, ეს რა არის? ცეცხლის ბურთი მოცურავს ჰაერში! — მოულოდნელად დაიძახა პიონერმა გოგონამ თინამ.

— დაწეკით! — გაისმა მურმანის ბრძანება. ყველა ძიწაზე გაწვა. მიწიდან ოთხი-ხუთი მეტრის სიმაღლეზე ექსკურსანტებისაკენ ქახაობით მოცურავდა, თითქოს ძონტუხავსო, ცეცხლოვანი ბურთი, გადაუარა პიონერებს და თვალთავან ძიმალა ძახლობელი ბორცვის გადაღმა.

— ადეკით! — კვლავ გაისმა მურმანის ბრძანება: — ტალახში კი ამოვისვარეთ, მაგრამ ისეთი მოვლენის სიწამეხი ვიყავით ახლა, რომ ღირდა იმისათვის ცოტა ვათხუბუნაც. იცით, ბავშვებო, ეს რა იყო? ჩვენ თავზე ახლა ბურთობრივმა ელვამ გადაიარა. სწორედ ამ დღეებში გავცახნი ამ მოვლენას პროფესორ სტეკოლნიკოვის მეცნიერულ-პოპულარული წიგნით „ელვა და ქუხილი“. წავიდეთ, ბავშვებო! გზაში გაამბობთ, თუ რაშია საქმე... არც ერთს არ წავიკითხავთ ეს წიგნი?

— მე წავიკითხე, — თქვა თინამ. — ჯერ კიდევ განათხულებზე წავიკითხე, მაგრამ ეს ელვარე ცეცხლოვანი ბურთი რომ დავინახე, ერთბაშად დავიბენი, წავიკითხული რაღას მოძავონდებოდა!

— ეს იმიტომ, ჩემო თინა, რომ ბურთობრივი ელვა მეტად იშვიათი მოვლენაა. ჩვეულებრივ ელვას ჩვენ ყოველ წელიწადს ვხედავთ. ის განსაკუთრებით ხშირია საქართველოსა და სამხეთში. წელიწადში 60-70-ჯერ გადაუვლის ხოლმე ჩვენს მთა-გორიან ქვეყნებს ტექა-ქუხილი. ბურთობრივი ელვა კი, მე, ძაგალითად, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხახე. ჩვეულებრივ ელვას, ვიწრო ცეცხლოვან ზოლად რომ გაიქროლებს ჰაერში, ხაზოვან ელვას უწოდებენ. ის უკვე სავსებით შესწავლილია მეცნიერულად. შორეულ წარსულში ტექა-ქუხილი, ელვა, მეხი შიმშის ზარს სცემდა ადამიანს. ცრუმორწმუნე ადამიანი, როდესაც ხედავდა, თუ რა ხერხევა მოჰქონდა ზოგჯერ ძეხს, თუ როგორ ჰკლავდა ადამიანს, ცხოველს, — ელვას „ხებუნებრივი“ ძალის, რაღაც ღმერთების რისხვად თვლიდა. ცოტა არ იყოს, შიმშს ახლაც იწვევს ჩვენში ბუნების ეს, თუმცა წარმტაცი და გრანდიოზული, მაგრამ მრისხანე მოვლენა. შხოლოდ საქმე ისაა, რომ ჩვენ ახლა ვიცით ამ მოვლენის არსი, ბუნება, ვიცით, რომ ელვა — ეს უზარმაზარი ელექტრონაპერწყალია, რომელიც გაიქროლებს დადებითად და უარყოფითად დამუხტულ ღრუბლებს შორის, ან ღრუბლებსა და მიწას შორის. რაკი მოვლენის ბუნება ვიცით, მამასადამე ვიცით მისგან თავის დაცვა, და არა მარტო თავის დაცვა, ადამიანს ახლა შეუძლია „დაიჭიროს“ ელვა და მისი ენერჯია მეცნიერული მიზნებისათვის გამოიყენოს. ამის შესახებ ნამბობია პროფესორ

სტეკოლნიკოვის იმავე წიგნში. რაც შეეხება ბურთობრივ ელვას, ის ჯერჯერობით არ შეიძლება ჩაითვალოს სავსებით შესწავლილად. ბევრი რამ ამ მოვლენაში უცნაურია. გამოსაცხობი... აი უკვე ჩვენი ბახაკიც, ტახსაცმელი გამოვიცვალოთ, დავსუფთავდეთ, ვისადილოთ და ნასადილევს გახვარძოთ ჩვენი საუბარი.

პიონერები ბანაკში მისვლისას ყველას გატაცებით უზიარებდნენ თავიანთ დღევანდელ თავგადასავალს.

— რა ვხახეთ, რომ იცოდეთ, რა ვხახეთ! გადაიარა ტექა-ქუხილმა თუ არა, უტბად ცეცხლოვანი ბურთი გამოჩნდა. პირდაპირ ჩვესზე მოდიოდა. ახლა კი დავილუბეთ-ძეთქი, გავიფიქრე. თურმე ისიც ელვა ყოფილა... — გაცხარებით ელაპარაკებოდა თინა მის ირგვლივ შემოკრებილ პიონერებს.

— სადილის შემდეგ ჩვენი პიონერხელმძღვანელი დაწვრილებით გვიამბობს ამ ელვის შესახებ, — დინჯად დაუროთო გიზობ.


როდესაც ბანაკი „წყნარი“ საათის შემდეგ კვლავ ახმაურდა, პიონერები შეიკრიბნენ და პიონერხელმძღვანელმა მურმანმა ადგილები წაუკითხა მათ პროფესორ სტეკოლნიკოვის წიგნიდან.

— ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აღწერილია ბურთობრივი ელვის ერთი ასეთი მოვლენა, — დაიწყო მურმანმა. — აი რა სწერია ამის შესახებ ამ წიგნში:

„1886 წლის 7 ივნისს საფრანგეთის ქალაქ გრეიში, სადამოს რვის ნახევარზე, ტექა-ქუხილის დროს ცა უეცრად განათდა ფართო წითელი ელვით და საშინელი ტექით ძიწაზე ჩამოვარდა ცეცხლოვანი ბურთი, რომლის სიგანე 30-40 სანტიმეტრი იქნებოდა. ნაპერწყლების ფრქვევით ის დაეცა სახურავის ნაპირს, მოგლიჯა მისი მთავარი კოჭიდან ნახევარ მეტრზე გრძელი ნაწილი, ნაკუწ-ნაკუწად აქცია ის, სხვენი მოფინა ნაფლეთებით და ბათქაში ჩამოანგრია ზემო სართულს ტერიდან. შემდეგ ეს ბურთი გადახტა სადარბაზო კარების სახურავზე, გახვრიტა იგი, ჩავარდა ქუჩაში, გავორდა რამდენიმე მანძილზე და თანდათან გაქრა. ხანძარი არსად ვაუჩენია და არც არავინ დაუშავებია მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში შრავლად იყო ხალხი.“

პიონერხელმძღვანელმა ასწია თავი წიგნიდან. სამარისებური სიჩუმე იდგა.

— ხშირად ბურთობრივ ელვას, — განაგრძო მან თხრობა, — ვოგრის ან მსხლის ფორმა აქვს. შედარებით ხაზოვან ელვასთან დიდხანს ძლებს — რამდენიმე წამიდან რამდენიმე წუთამდე. ბურთობრივი ელვა ტექა-ქუხილის დასასრულს ჩნდება ხოლმე, რო-



გორც ჩვენს შემთხვევაში იყო. მისი სიგანე 10-20 სანტიმეტრიდან 10 მეტრამდე აღწევს. ცეცხლოვან ბურთს თვალისმომჭირელი თეთრი სინათლე აქვს და გამოკვეთილი კონტური. ჩვეულებრივ ის სტვენით, ზუზუნით ან შიშინით ვარდება მიწაზე.

ბურთობრივი ელვა შეიძლება ჩუხად, უხმაუროდ გაქრეს, მაგრამ შეიძლება ასუსტი ტკაცანი გაადინოს, ანდა ზოგჯერ გამაყრუებელი აფეთქებაც მოახდინოს. გაქრობისას სტოვებს მკვეთრი სუნის მქონე კვამლს. მიწის ახლოს ან დახურულ შენობაში მოძრაობს მორბენალი ადამიანის სიჩქარით—დაახლოებით ორი მეტრის სიჩქარით წამში. შეიძლება უძრავადაც დარჩეს რამდენიმე ხანს. ასეთი „დამჯდარი“ ბურთობრივი ელვა შიშინებს და ნაპერწყმებს ჰყრის, სანამ არ გაქრება. ზოგჯერ გვეონია, რომ ბურთობრივ ელვას ქარი მიაქროლებს, მაგრამ ჩვეულებრივ მისი მოძრაობა ქარისაგან არ არის დამოკიდებული.

ბურთობრივი ელვა იჭრება შენობაში ღია ფანჯრებიდან ან კარებიდან, ზოგჯერ ვიწრო ნახვრეტებითაც შეძრება ხოლმე შენობაში. საკვამლე მიღები საუკეთესო იჯაა მისთვის. ამიტომაც, რომ ბურთობრივი ელვა ხშირად ბუხრიდან ამოჰყოფს ხოლმე თავს ოთახში. ერთხანს იტრიალებს იქ და იმავე გზით, — ბუხრითა და საკვამლე მილით, — გაქრება ოთახიდან.

ზოგჯერ ბურთობრივი ელვა ჰორიზონტალური მოძრაობის დროს ხან დაუახლოვდება

მიწას ისე, რომ მიწასა და ბურთს შორის მანძილი სანტიმეტრებს შეადგენს, ხან დაშორდება რამდენიმე მეტრით. ამიტომ უფრევნება, თითქოს ის ნახტომებით მოძრაობს.

ხშირად ბურთობრივი ელვა „დაჯდება“ ხოლმე საწვიმარ მილზე ან გაგორდება მასში. შეიძლება ადამიანის სხეულზედაც აგორდეს და შეძერეს ტანსაცმლის ქვეშ. ამ შემთხვევაში ადამიანს დაუწვავს სხეულს და მოჰკლავს კიდევაც. ბურთობრივ ელვას შეუძლია გამოიწვიოს შენობათა ძლიერი ნგრევა.

რასაკვირველია, არავითარი „ზებუნებრივი“, არავითარი საიდუმლო რამ ბურთობრივ ელვაში არ არის. ეს არის ელექტრული განმუხტვა, რომელიც იმავე წარმოშობისაა, როგორც საზოგადო ელვა.

რადგან ბურთობრივი ელვა შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი, ამიტომ დღემდე არ მოიპოვება მისგან დაცვის საიმედო საშუალება. იყო შემთხვევები, როდესაც ბურთობრივი ელვა ამტვრევდა ფანჯრის მინას და ვარდებოდა შენობაში, მაგრამ ჭექა-ქუხილის დროს მისგან დაცვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საიმედო საშუალებად მაინც შენობის ფანჯრების, კარების, საკვამლე და სავენტილაციო მილების დახურვა ითვლება.

ასე დაასრულა მურმანმა თავისი საუბარი ბურთობრივი ელვის შესახებ, ბუნების ამ იშვიათ მოვლენაზე, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა იმ დღეს მის მხახველ პიონერ-მოსწავლეებზე.



შენობაში შემოჭრილი ბურთობრივი ელვა.

დაუკვირებლობა

იზაზი



ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა.

ერთ ლოფელში ცხოვრობდა ერთი კაცი. ხნავდა, თესავდა და მოჰყავდა ჭირნახული. ყავდა ცოლს და ჩვილი, ახლადდაბადებული ვაჟი. ერთხელ ეს კაცი საღდაც საქმეზე წავიდა. შინ რომ ბრუნდებოდა, გზად მდინარე ჰქონდა გამოსავლელი. ეწვიმა, მდინარე ადიდებულიყო და ძნელი იყო შიგ გასვლა. ხიდი კი ცოტა შორს იყო და დაეზარა ზიდზე მოვლა, მოსიძებნა ფონი და შევიდა მდინარეში. ჯერ მდინარის შუაშიც არ იყო შესული, რომ მუხლგბმა სულ კანკალი დაუწყეს. ცოტა ხანს კიდევ იდგა, შემდეგ ველარ გაუძლო წყლის მძლავრი ზვირთების დაჯახებას, წაიქცა და დაიხრჩო.

გაიარა ხანმა. მისი შვილი წამოიზარდა, მაგრამ მამის ამბავს არ აგებინებდნენ. ერთხელ ტოლგებში რომ თამაშობდა, ერთ ამხანაგთან ჩხუბი მოუვიდა.

—წადი, მამაშენიც ეგრე ჯიუტი კაცი ყოფილა და წყალში დამხრჩვა-ლაო,—შიაძახა გაბრაზებულმა ამხანაგმა.

ამ სიტყვებმა ღააფიქრეს ბიჭუნა: „მართლაც, სხევებს რომ მამები ჰყავთ, აი მაგასაც იმ დღეს მამამისმა რომ სათამაშო ურემი გაუყეთა და ისე უზარო-და... მე რატომ არ მყავს მამა?“

შირბინა დედასთან და კალთაში ჩაუჯდა.

—დედა, აი ჩემს ტოლგებს რომ მამები ჰყავთ, მე რატომ არ მყავს მამა, რომ მათსავით მეც დავიქალო: ნუ მცემთ, თორემ მამაჩემს ვეტყვი და ნახავთ მეთქი! მათ რომ მამები მოუვათ ზოლმე, სიხარულით გაიქცევიან „მამა მოვიდა, მამა მოვიდაო“, იძახიან. მე კი ამ დროს გულდაწყვეტილი ვარ.

შვილის ნათქვამმა დედა დააღონა, მაგრამ მამის დაღუბვის ამბავი მაინც არ უთხრა.

—არა, დედა, მითხარი, მითხარი,—ეხვეწებოდა შვილი,—თორემ ვიტყვებ!

დედა ერთხანს დუმდა, ბოლოს გადაწყვიტა ეამბა შვილისათვის ყველა-ფერი.

—ეჰ, შვილო, საბრალო მამაშენი ათრე დაიღუპა,—და ქალს ცრემლები გადმოსცვიდა.—ერთხელ საქმიზე იყო წასული. შინ რომ ბრუნდებოდა, წყალზე უნდა გადმოველო, ნაწვიმარი იყო, ფონში შევიდა, წყალი ღრმა გამოდგა და დაიხრჩო.

ბიჭუნა ჩაფიქრდა.

—მერე, დედა, ხიდი არ ჰქონდა იმ წყალს?

—როგორ არ ჰქონდა, ჩემო გვრიტო, ცოტა შორს იყო, დაეზარა მოვლა და... დაიღუპა.

ისევე ჩაფიქრდა ბავშვი.

—ხიდზე რომ მოველო, აქამდე ხომ მოვიდოდა, დედა?

—როგორ არ მოვიდოდა?! იმ დღესვე მოვიდოდა. ამაზე იტყვიან, შვილო, შორი იგზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო.

—ჰე, კარგი იყო, მამაჩემს სცოდნოდა ეს ანდაზა! — ამოიხრა ბიჭუნამ.

გიორგი ჯეღონიძე





პიონერები ფოტოსურათებში

1. ქობულეთის ბერიას სახელობის პიონერთა ბანაკის პიონერები ღებულობენ მზის აბაჯანებს ზღვის ნაპირზე. 2. ზემო ნატანების საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის ზუთოსანი მოსწავლე პიონერი ლილი ბაღათურია (წინა პლანზე) არადეგების დროს მშობლებს სისტემატურად ესმარებოდა ჩაის ფოთლის მოჭრე-ფაში. 3. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მანგლისის პიონერთა ბანაკის პიონერები აგროვებენ სამკურნალო მცენარეებს. 4. აბაშის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში.



ჩ ა ნ ე მ ო რ დ ი

ჟურნალ „პიონერის“ № № 4, 5 და 6-ში გამოქვეყნებულ გასართობ გამოცანებზე:

№ 4

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი ბ ო რ ი ს ზ ე თ ა ნ ე ლ ი ს

- 1. ყვავილი, 2. გემი, 3. მდინარე, 4. ბორანი

გ ა მ ო ც ა ნ ა ლ. კ ა ჰ ა მ ი ძ ი ს შ ა შ ვ ი

№ 5

ა ს რ ო კ რ ო ს ვ ო რ დ ი

- 1. გურამიშვილი, 2. ამური, 3. უშბა, 4. მედუზა, 5. ავთანდილი, 6. ჭიკნა, 7. ჯიქი, 8. ომი, 9. სატურნი, 10. მარგანეცი, 11. აღმასი, 12. იოდი, 13. სევაი. გაუმარჯოს 1 მაისს!

ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

I. 1881 წელი, II. ორი შავი და ორი ფაქიშვილი სიამდელიღეში სამი ადამიანია — ბაბუა, შვილი და შვილიშვილი.

- 1. თბილისი, 2. იაბლოჩკოვი, 3. ია, 4. ასკანია-ნოვა, 5. აერორა, 6. რუსთაველი, 7. ლიპონოსოვი, 8. ვერხოიანსკი, 9. იაბლუხი, 10. ივარკა, 11. კიევი, 12. ვერხვინაგინი, 13. ნაფი, 14. ორბი, 15. ბოროდინო, 16. ონი, 17. ნიჰამი, 18. მოსკოვი.

* * *

გასართობი გამოცანები ამოხსნეს შემდეგმა პიონერ-მოსწავლეებმა:

ნ. მეტრეველია (ხარაგაული), ს. ომაძემ (თბილისი), გ. უჩანეიშვილმა (დაბა აბაშა), ი. თვალავაძემ (სოფ. აბაშა), მ. რუბაშვილმა (დუშეთი), ბ. კუბრაშვილმა (ყვარული), დ. გუგუშიძემ (მაიაკოვსკი), თ. ლეზანიძემ (ონი), მ. ნაცვლიშვილმა (სოფ. აბაშა), ს. ოგანოვმა (სტალინირი), ნ. ზოიძემ (თბილისი), ლ. მეფარიშვილმა, გ. გუგუშიძემ (სამტრედია), გ. გოგიჩაიშვილმა (ლანჩხუთი), ც. ტაროშვილძემ (თბილისი), ტ. ჯაბაურმა (კასპი), ჯ. ჩხიკვაძემ (ყვარული), ქ. ფირფილაშვილმა (მაიაკოვსკი), კ. ამირანაშვილმა (ქუთაისი), დ. სალუქვაძემ (მახარაძე), შ. ამინაშვილმა (თეთრი წყარო).

შ ი ნ ა ა რ ს ი

Table with 2 columns: Question/Topic and Page Number. Includes items like 'აბრაშია', 'ფურცხვანიძე', 'გოვიანთი', etc.

ყდის მხატვრობა, ნორჩი მოგზაურები“ ეკუთვნის მხატვარ შ. მაყაშვილს.

ვასლხისმგებელი რედაქტორი გ. კაჭახიძე

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი, შ. გვინჩიძე, (პ.მ. მდივანი), ვ. ვარდიაშვილი, პროფ. გ. თავიშვილი, ა. გიგოლაშვილი, პ. მეტრეველი, ნ. ნაყაშიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-81-85

პიონერული მგზავრული



მუსიკა ბრ. ქოქალაძის

სიძვედები ულ. შენგელიძის
სახლი

Tempo di Marcia.

CORO.



1. მამ, ენ - თაყვე - ეთ
2. წინ! მეგ - გარდერ - თაყ.

Tempo di Marcia.

PIANO.



სამ - ლ - რა ჩუ - ნი, რი - ე - დე ვე - ცნის სა - რ - დე - ბე - რი.
ვა - რი - დო მა - რაყ. რე - ნი ვე - ყა - ნა ე - ყა - ვე - ბე - რე.

სა - შო - ბოს ღირ - სი რა რა - მამ - შუე, ნი ა - ხარ - ვამ - რთ - ბა
ყ - ვ - რი ხე ყ - ვ - რი ბე - ჩეი ბე - რი - ან - ხე - რთ

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე)



